ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი 23 მარტი 1917 წ.

ერთობა

ფასი 7 კაპ.

„თანამედროვე აზრის" გაგრძელება.

გაზეთი ღირს: მთელი წლით—15 მ., ნახევარი წლით—8 მან., 3 თვით 4 მან. 20 კ., 1 თვით—1 მ. 40 კ., ცალკე ნომერი ყველგან 7 კაპ. და საზღვარგარეთ ორჯელ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება ორ საათამდე 5 მანეთი ხოლო ორის შემდეგ—6 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალა რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ—მოწერას კისრულობს

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Бохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-დე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлис Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 8 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 8

დიდი რევოლიუცია.

მუშათა დეპუტატების
საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ბიურო

მოთავსებულია ყოფილ მეფის მოადგილის სასახლეში. ბიურო ღიაა დილის 10—3 საათამდე, საღამოს 5—9 საათამდე.

პარტიის წევრთა მიმართ.

ამხანაგებო! მეფობის დაცემით, რომელიც უპირველესათ სოციალ დემოკრატიის საქმეა, ჩვენ მოვიპოვეთ ორგანიზაციათა სრული თავისუფლება.

რეაქციამ პარტიის წევრობისათვის მრავალი საუკეთესო ამხანაგი მოგვტაცა. ბევრი მათგანი ციმბირსა და საკატორღო ციხეებში სიცოცხლეს გამოესალმა. ჩვენი უდროოთ დაღუპულ ამხანაგების ძვლებით მოფენილია მთელი რუსეთი.

დიდმა რევოლიუციამ პარტია მზის სინათლეზე გამოიყვანა. ისარგებლეთ მომენტით! შეკავშირდით აშკარათ, შემოკრბით სოციალიზმის წითელი დროშის ქვეშ, რომ საერთო ძალღონით საბოლოოთ შემუსროთ რეაქციონერთა ბანაკი და გზა გაუკაფოთ ყოველგვარი მონობის დამხობას და შრომის სამეფოს დამყარებას.

ამხანაგებო! ძველი პარტიული წესდება ახლანდელ პირობებს სრულიად არ შეესაბამება. ამიტომაც ჩვენ შევიმუშავეთ ახალი წესდების პროექტი, რომელიც აქვე იბეჭდება. მისი საბოლოო დამტკიცება ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციების ყრილობის საქმეა. მარა დროებით ისარგებლეთ ამ წესდებით. დაყოვნება არ შეიძლება! ახლავე შეუდექით პარტიის ახალ წევრთა მიღებას! მოიწვიეთ პარტიული კრებები და დაარსეთ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია!

რეაქციის ქარტეხილმა ვერ შესძლო პარტიული ორგანიზაციების დაფუშვა. წითელი დროშა თავდადებულ ამხანაგთა ვიწრო წრეებში დაფრიალებდა, სასოწარკვეთილთ ამხნევებდა და მუშათა ფართო მასას მედგარი ბრძოლისაკენ უხმობდა. დღეს ერთი მიზანი მიღწეულია. პარტიას თავისუფალი მოქმედების ასპარეზი გაეხსნა. თქვენი ვალია ისარგებლოთ ხელსაყრელი მომენტით. დეე, ქალაქები და სოფლები, თვით მივარდნილი კუთხეებიც კი მოიფინოს პარტიული ორგანიზაციებით.

რამდენიმე კვირის შემდეგ უნდა მოწვეულ იქმნას ამიერ კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციების ყრილობა. ემზადეთ ამ დღისთვის!

დაუყონებლივ შეუდექით საქმეს!

გაუმარჯოს რუსეთის სოციალ დემოკრატიულ მუშათა პარტიას!

საოლქო კომიტეტი ამიერ კავკასიის სოც.-დემ. ორგანიზაციებისა.

ამიერ კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციების წესდების პროექტი.

პარტიის წევრობა.

1. პარტიის წევრათ ითვლება ყველა ის, ვინც აღიარებს სოციალ დემოკრატიულ პროგრამას, ირიცხება რომელიმე პარტიულ ორგანიზაციაში და წესიერათ იხდის საწევრო გადასახადს.

2. წევრათ მიიღება ისეთი პირი, რომელსაც პარტიის 5—10 წევრი თავდებობს.

შენიშვნა: შეუძლებელია წევრათ იმ პირთა მიღება, რომელნიც თავისი წარსული მოქმედებით პარტიას ჩირქს მოსცხებენ.

საწევრო გადასახადი.

3. პარტიის წევრი მიღების დროს ერთდროულათ იხდის ქალაქში 50 კ., სოფელში 25 კ., ხოლო შემდეგ ყოველ თვიურათ ქალაქში 40 კ., სოფელში-კი 20 კ.

შენიშვნა. ა) პარტიის წევრს შეუძლია მთელი წლის ან რამოდენიმე თვის საწევრო გადასახადი წინდაწინ გადაიხადოს.

ბ) პარტიის წევრი, რომელიც სამი თვის განმავლობაში საწევრო გადასახადს არ შეიტანს, პარტიიდან გარიცხულად ითვლება.

4. ყველა ადგილობრივი კომიტეტი თავისი შემოსავლის 20 პროცენტს იხდის საოლქო კომიტეტის სასარგებლოთ.

ადგილობრივი ორგანიზაცია.

5. პარტიის ყველა წევრთაგან სდგება ორგანიზაცია. პატარა ქალაქებში არსდება ერთი ორგანიზაცია, რომლის წევრთა საერთო კრება ირჩევს ქალაქის კომიტეტს, ხოლო დიდ ქალაქებში უპირველესათ უბნის ორგანიზაციებს ადგენენ. თითოეული უბნის წევრთა კრება ირჩევს 7—11 წევრისაგან უბნის კოლექტივს, რომელიც განაგებს ადგილობრივ საქმეებს, ყველა უბნის ორგანიზაციები ირჩევენ 7—15 წევრისაგან ქალაქის კომიტეტს, რომელსაც ევალება მთელი ორგანიზაციის ხელმძღვანელობა. კომიტეტის წევრთა არჩევა ხდება უბნის პარტიულ კრებებზე წევრთა რაოდენობის მიხედვით.

6. მაზრებში არსდება სოფლის, საზოგადოებისა და სამაზრო ორგანიზაციები. პარტიის სოფლათ ადგენენ ორგანიზაციას, —7 წევრისაგან ირჩევს ხელმძღვანელ ჯგუფს. სოფლის ორგანიზაციები, წევრთა რაოდენობის მიხედვით ირჩევენ საზოგადოების კოლექტივს, რომელიც განაგებს ადგილობრივ პარტიულ საქმეებს. საზოგადოების კოლექტივთა წარმომადგენელთაგან არსდება სამაზრო კომიტეტი.

შენიშვნა. სამაზრო ორგანიზაციებს საოლქო კომიტეტთან შეთანხმებით შეუძლიათ ამ საორგანიზაციო გეგმაში ადგილობრივ პირობათა მიხედვით საჭირო ცვლილება შეიტანონ.

7. კომიტეტები და კოლექტივები თავიანთ წევრთა შორის ირჩევენ თავმჯდომარეს, მის ამხანაგს, მდივანსა და ხაზინადარს.

8. ყველა პარტიულ ორგანიზაციასთან არსდება ბიურო, სადაც დანიშნულ დროს მდივნის ხელმძღვანელობით სწარმოებს ახალ წევრთა მიღება და საჭირო ცნობების მიწოდება: აგრეთვე ყველა ორგანიზაცია აწყობს აგიტატორთა, პროპაგანდისტთა და ლექტორთა წრეს, რომელიც მოქმედებს თანახმად ხელმძღვანელ ორგანოთა დირექტივებისა.

9. ადგილობრივი ორგანიზაცია შემოსავალ-გასავლის შესამოწმებლათ ირჩევს 5—7 წევრისაგან სარევიზიო კომისიას, რომელიც თავის მოხსენებებს უდგენს ჩვეულებრივ პარტიულ კრებას.

10. პარტიულ ორგანიზაციათა კრება ორგვარია: ა) ჩვეულებრივი და ბ) საგანგებო. ჩვეულებრივი კრება სდგება იანვარში და ივლისში, ხელმძღვანელ დაწესებულებათა მოხსენების მოსასმენათ. აგრეთვე იანვრის კრება ირჩევს ბარათებით ან კენჭის ყრით ხელმძღვანელ ორგანოებს მთელი წლის ვადით: კრება კანონიერია, თუ მას დაესწრო წევრთა ერთი მესამედი. თუ წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო პირველი კრება არ შესდგა, არა უადრეს ერთი კვირისა ინიშნება მეორე, რომელიც კანონიერათ ითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. საგანგებო კრებას იწვევს ხელმძღვანელი ორგანო თავისი სურვილისამებრ, ან წევრთა ერთი მეათედის მოთხოვნით, და სარევიზიო კომისია განსაკუთრებით დადგენილების თანახმად, რომლის ოქმი წინდაწინ უნდა გადაეცეს ხელმძღვანელ ორგანოს. კრების დრო, ადგილი და დღიური წესრიგი ერთი კვირით ადრე უნდა ეცნობოს პარტიის წევრებს.

შენიშვნა. პარტიულ კრებას, თუ იგი საჭიროთ დაინახავს, ხელმძღვანელ ორგანოთა ხელახალი არჩევა შეუძლია ექვსი თვის შემდეგაც.

საოლქო ორგანიზაცია.

11. ამიერ კავკასიის საერთო პარტიულ საქმეთა სახელმძღვანელოთ იკრიბება საოლქო ყრილობა: ჩვეულებრივი ყოველ წლიურათ მარტში ან აპრილში, ხოლო საგანგებო საოლქო კომიტეტის დადგენილებით, ადგილობრივ კომიტეტთა მესამედის მოთხოვნით, ან და საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილებით. ჩვეულებრივი საოლქო ყრილობის მოწვევის დროს და დღიურ წესრიგს საოლქო კომიტეტი ერთი თვით ადრე აქვეყნებს პარტიულ ორგანოში, ხოლო საგანგებო ყრილობისას ერთი კვირით ადრე. ყველა ადგილობრივი ორგანიზაცია ვალდებულია 15 იანვრამდე წარუდგინოს საოლქო კომიტეტს წლიური მოხსენება. უკანასკნელი კი ადგენს და პარტიის წევრთა საყურადღებოთ აქვეყნებს თავისი და ადგილობრივ ორგანიზაციათა მოქმედების წლიურ ანგარიშს.

12. საოლქო ყრილობა შესდგება პარტიის წევრთა წარმომადგენელთაგან: ყოველი ორასი წევრი გზავნის თითო დელეგატს.

შენიშვნა. ქალაქის და მაზრის ორგანიზაციებს ნება ეძლევა იყოლიონ ერთი წარმომადგენელი საოლქო ყრილობაზე იმ შემთხვევაშიაც, როცა პარტიის წევრთა საერთო რიცხვი ორას არ აღწევს.

13. საოლქო ყრილობა ირჩევს ათი წევრისა და სამი კანდიდატისაგან საოლქო კომიტეტს, რომელსაც ევალება პარტიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელობა. საოლქო კომიტეტი თავის წევრთა შორის ირჩევს თავმჯდომარეს, ორ ამხანაგს, მდივანს და ხაზინადარს.

შენიშვნა. საოლქო კომიტეტის წევრთა გასამრჯელოს საზღვრავს საოლქო ყრილობა.

14. საოლქო ყრილობა ადგენს საკანონმდებლო დაწესებულებათა კანდიდატების სიას. იმ შემთხვევაში, როცა კითხვის გადაჭრის გადადება საოლქო ყრილობის მოწვევამდე შეუძლებელია, კანდიდატების დასახელება ხდება საოლქო კომიტეტისა და ადგილობრივი ორგანიზაციათა შეთანხმებით. ამავე წესით წარმოებს ადგილობრივ თვითმართველობათა და მართვა გამგეობის საპასუხისმგებლო ადგილებზე ასარჩევი პირების დასახელება.

15. საოლქო კომიტეტისა და მის ხელქვეით დაწესებულებათა შემოსავალ-გასავლის შესამოწმებლათ, აგრეთვე მათ წინააღმდეგ აღძრულ საჩივართა განსახილველათ საოლქო ყრილობა ირჩევს 9 კაცისაგან შემდგარ საკონტროლო კომისიას, რომელიც ექვს თვეში ერთხელ მაინც უნდა შეიკრიბოს. თავის მოხსენებას საკონტროლო კომისია უდგენს საოლქო ყრილობას.

პარტიული პრესა.

16. პარტიული პრესის რედაქციის დანიშვნის წეს-რიგს იმუშავებს საოლქო ყრილობა. რედაქციის უმთავრესი ხელმძღვანელობა საოლქო კომიტეტს ევალება.

17. თფილისის ორგანიზაცია ირჩევს პრესის კომისიას, რომელიც საოლქო კომიტეტთან ერთად მოქმედებს და თფილისში არსებულ პარტიულ ჟურნალ-გაზეთებს იდეურ და ნივთიერ მხარეებს კანტროლს უწევს.

შენიშვნა: თუ რომელიმე კითხვის შესახებ საოლქო კომიტეტსა და პრესის კომისიის შორის უთანხმოება ჩამოვარდა, კითხვა საბოლოო გადასაჭრელათ გადაეცემა საკანტროლო კომისიის, საოლქო კომიტეტის და პრესის კომისიის შეერთებულ სხდომას, რომელზედაც ყველა დასახელებულ დაწესებულებებს თითო ხმა ეძლევა.

წევრთა გარიცხვა.

18. იმ წევრის შესახებ, რომელიც პარტიულ პრინციპებს ღალატობ, ან პარტიას თავისი მოქმედებით ჩირქს სცხებს, ინიშნება პარტიული სასამართლო, რომლის თავმჯდომარეს ირჩევს საოლქო კომიტეტი, ხოლო თითო წევრს ადგილობრივი ორგანიზაცია და ბრალდებული წევრი ნიშნავენ. სასამართლოს უფლება ეძლევა წევრი პარტიიდან გამორიცხოს ან სხვა რაიმე სასჯელი მიუსაჯოს. პარტიული სასამართლოს დადგენილების გასაჩივრება შეიძლება საკანტროლო კომისიაში. უკეთუ კომისიამ პარტიული სასამართლოს დადგენილება უკანონოთ სცნო, კითხვის საბოლოო გადაწყვეტა ენდობა საოლქო ყრილობას, ხოლო ყრილობის მოწვევამდე ბრალდებული წევრი პარტიიდან დროებით გადაყენებულათ ითვლება.

გერმანიის სოციალდემოკრატია მთავრობის წინააღმდეგ.

გერმანიის სოციალდემოკრატიული პარტია მთავრობის წინააღმდეგ ამხედრდა. ახლა იმ ოპორტიუნისტულ ნაწილმაც, რომელიც დღიდან ომის გამოცხადებისა მთავრობის საგარეო პოლიტიკის ერთგვარ გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, პირი იბრუნა და უმცირესობასთან ერთათ ბიუჯეტის წინააღმდეგ ხმა მისცა. ომის შემდეგ გერმანიის სოციალდემოკრატების ასეთი გაერთიანებული გამოსვლა პირველი მაგალითია. ომმა გამოიწვია ის უთანხმოება, რომელიც გერმანიის სოციალდემოკრატებს შორის კარგა ხანია არსებობდა. წინათ ოპორტიუნისტები კოლონიალურ პოლიტიკას მხარს უჭერდენ.

ამიტომაც იყო, როცა ომმა იფეთქა, ოპორტიუნისტებმა სამხედრო ბიუჯეტს რამოდენიმეჯერ ხმა მისცეს და მთავრობის საგარეო პოლიტიკა ასე თუ ისე დაადასტურეს.

ასეთმა პოლიტიკამ ფართო მასის შეგნებაზე გავლენა იქონია და მანაც ომი მოგერიებითათ აღიარა, ომის გაჭიანურებამ ეკონომიური და კულტურული ცხოვრება მიწასთან გაასწორა, მთელი კუთხეები აოხრდა, მრეწველობა-ვაჭრობა შეფერხდა, მრავალი მოქალაქე სიცოცხლეს გამოესალმა.

ახლა დემოკრატია შეურყევლათ დარწმუნდა, რომ იმპერიალისტური ომი ქვეყანას სრულ განადგურებას უქადის და მთელი კაცობრიობის მდგომარეობა საფრთხეში ვარდება.

და აი გამოფხიზლება დაიწყო. ომის პირველ დღეებიდანვე მეუმცირესენი ომის წინააღმდეგ ხმას იმაღლებდენ. უმცირესობა იმ თავიდანვე ზავის მომხრეთ გამოდიოდა და მეორე ხარჯთ-აღრიცხვის გარჩევისას ზოგიერთმა სოციალდემოკრატებმა მას მხარი არ დაუჭირეს. მაგრამ უმცირესობის ასეთმა გამოსვლამ თავის გარშემო ხალხის დიდ ნაწილი ვერ შემოიკრიბა. მართველმა წრეებმა და ბურჟუაზიულმა იდეოლოგებმა ხალხის აზროვნება დაიმორჩილეს. ამას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ გერმანიის წინააღმდეგ ახალ-ახალი სახელმწიფონი გამოდიოდენ. ეს იმპერიალისტურ ომს პოპულიარულათ ხდიდა.

მაგრამ მსოფლიო ისტორიაში არაჩვეულებრივი მოვლენა დატრიალდა. რუსეთში დიდი რევოლიუცია მოხდა და გერმანიის ძლიერმა მოწინააღმდეგემ მონარქიული ბორკილები დაამსხვრია. ახლა გერმანიის კაპიტალისტების მტკიცებას, სამშობლო განსაცდელშია—აღარავინ იზიარებს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭომ მთელი ქვეყნის დემოკრატიას—განსაკუთრებით გერმანია-ავსტრიის სოციალდემოკრატიას, მოწოდებით მიმართეს და ურჩიეს დაუყონებლივ საპატიო ზავის ჩამოგდებაზე ეზრუნათ.

ასეთი გამოსვლის შემდეგ სოციალდემოკრატების გალაშქრება ომის წინააღმდეგ—გერმანიის ხალხში მეტისმეტათ პოპულიარული ხდება და იმპერიალ. საგარეო პოლიტიკას ნიადაგი ეცლება. ახლა სოციალდემოკრატებს ხელფეხი გაეხსნა და პირველი ნაბიჯიც გადადგეს: ბიუჯეტი უარყვეს და რეიხსტაგიდან ედუარდ ბერშტეინის პირით ყველასთვის საპატიო და დამაკმაყოფილებელი ზავი მოითხოვეს. გერმანიის სოც.-დემ. რეიხსტაგში ერთსულოვანი გამოსვლა პარლამენტის გარეთაც ერთსულოვან გამოძახილს გამოიწვევს და მით ზავის ჩამოგდების ნიადაგი მზადდება.

დემოკრატიული რესპუბლიკა.

რუსეთის უდიდესმა რევოლიუციამ სოციალური პოლიტიკური ურთიერთობა და საზოგადოებრივი აზროვნება ძირიან-ფესვიანათ შეარყია. ამ ჟამათ რევოლიუციონური მუშათა კლასი და არმია პოლიტიკური ცხოვრების ბატონ-პატრონი შეიქნა და მის პოლიტიკურ ლოზუნგებს თითქმის მთელი საზოგადოება იზიარებს.

ბურჟუაზიული პარტიები და ვაჭარ-მრეწველთა ორგანიზაციები დემოკრატიის მოთხოვნილებებს ურთდებიან და თავიანთ კრებებზე დამფუძნებელ კრებას და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებას მოითხოვენ.

კადეტთა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, ზოგიერთი საგუბერნიო ერობათა წარმომადგენლებმა, აგრეთვე ვაჭარ-მრეწველთა კრებამ მოითხოვეს საყოველთაო საარჩევნო სისტემით დამფუძნებელ კრების მოწვევა და მისი მეოხებით დემოკრატიული რესპუბლიკის დაფუძნება.

რევოლიუციონურმა მუშათა კლასმა და არმიამ საუკუნოებით შემუშავებული მონარქიული წყობილება მოსპო, მეფე ტახტიდან გადააყენა და მთელი დინასტია გაუქმებულათ გამოაცხადა. დემოკრატიული რესპუბლიკის განხორციელება აუცილებელი საქმე შეიქნა, ამიტომაც არის რუსეთის ყველა ქალაქებში თვით მივარდნილ კუთხეებშიაც კი მას მოითხოვენ. თავისუფალ რუსეთში მცხოვრები თავისუფალ მოქალაქეთ უნდა გადაიქცეს და ყველამ პოლიტიკურ ცხოვრებაში, მის უმაღლეს მართვა-გამგეობაში მონაწილეობა მიიღოს.

თავისუფლება და ძალა, რომელიც ხალხმა მოიპოვა თვით ხალხს უნდა ეკუთნოდეს. ხალხი მხოლოდ მაშინ იქნება სრული თავისუფალი, როცა მთელი მართვა-გამგეობა სახალხო იქნება. არ გამოიცემა არც ერთი კანონი, დადგენილება ხალხის დაუკითხავათ. ეს შეუძლია მხოლოდ დემოკრატიას, რომელიც მონარქიის თავიდანვე დაუძინებელი მტერი იყო. რამდენათ მეტ ძალ-ღონეს გამოიჩენს ის, მით უფრო იძულებული იქნებიან ბურჟუაზიული წრეები დემოკრატიული ლოზუნგები გაიზიარონ და რესპუბლიკის დამყარებას ხელი შეუწყონ.

ყველა ქვეყნის ხალხისადმი.

ამხანაგებო, პროლეტარებო და მშრომელნო ყველა ქვეყნისა!

ჩვენ რუსეთის მუშები და სალდათები, შეკავშირებულნი მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებში, გიგზავნით თქვენ გულითად სალამს და გაუწყებთ დიად ამბების შესახებ. რუსეთის დემოკრატიამ დაამხო საუკუნოებით შექმნილი მეფის დესპოტიზმი და უერთდება თქვენს ოჯახს, როგორც თანასწორ უფლებიანი წევრი, რათა თქვენთან ერთათ ძლიერმა იბრძოლოს საერთო თავისუფლებისათვის. ჩვენი გამარჯვება, მთელი ქვეყნის თავისუფლებისა და დემოკრატიის დიდებული გამარჯვებაა. დღეიდან აღარ არსებობს მსოფლიო რეაქციის ბურჯი „ევროპის ჟანდარმი". დეე, სამუდამოთ განისვენოს მან მძიმე ლოდ ქვეშ. გაუმარჯოს თავისუფლებას! გაუმარჯოს პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობასა და მის ბრძოლას საბოლაოთ გამარჯვებისათვის!

ჩვენი საქმე ჯერ კიდევ დასრულებული არ არის: ძველი წესწყობილების აჩრდილი ჯერ კიდევ არ არის სავსებით გაფანტული და მტრები ისევ იხვეჭენ ძალას რუსეთის რევოლიუციის წინააღმდეგ. მარა ბრძოლით მოპოვებული უფლებანი მაინც დიდია. რუსეთის ხალხი თავის სურვილს საბოლოოთ დამფუძნებელ კრებაზე გამოთქვამს, რომელიც მოწვეული იქნება ახლო მომავალში თანასწორი პირდაპირი საყოველთაო და ფარული ყენ ყრით. და ამიტომ ეხლავე შეიძლება ითქვას, რომ რუსეთში დამყარდება დემოკრატიული რესპუბლიკა. რუსეთის ხალხს აქვს სრული თავისუფლება დღეს ხელთ და ამიტომაც მას შეუძლია თქვას თავისი ავტორიტეტული სიტყვა შინაური მართვა-გამგეობისა და საგარეო პოლიტიკის შესახებ. და მივმართავთ რა ყველა ქვეყნის ხალხთ, რომლებიც [illegible]

ზიან და ნადგურდებიან უმაგალითო ომის წყალობით, ჩვენ ვაცხადებთ: დადგა დრო, ვებრძოლოთ ყველა ქვეყნის მთავრობების დაპყრობითი პოლიტიკას. დადგა დრო ავიღოთ ჩვენ ხელში ომისა და ზავის გადაწყვეტის საკითხი.

გრძნობს რა რუსეთის დემოკრატია თავის რევოლიუციონურ ძალას აცხადებს, რომ ის ყოველივე ძალღონით შეებრძოლება თავისი გაბატონებული კლასების იმპერიალისტურ პოლიტიკას და მოუწოდებს ევროპის ყველა ხალხთ შეერთებული ძალით დაუჭირონ მხარი ზავს.

ამის შემდეგ ჩვენ მივმართავთ ჩვენს ძმებს —ავსტრია-გერმანიის კოალიციის პროლეტარებს და უწინარეს ყოვლისა კი გერმანიისას: ომის პირველი დღიდანვე თქვენ გიმტკიცებდენ, იღებთ რა იარაღს რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, ამით თქვენ იცავთ ევროპის კულტურას აზიურ დესპოტიზმისგანო. ბევრი თქვენგანი ამაში ხედავდა იმ დახმარების გამამართლებელ საბუთს, რომელიც თქვენ ომში აღმოუჩინეთ მთავრობას. დღეს უკვე ასეთი გასამართლებელი საბუთი აღარ არსებობს. დემოკრატიული რუსეთი არ შეიძლება წარმოადგენდეს თავისუფლებისა და ცივილიზაციის საშიშროებას.

ჩვენ მტკიცეთ დავიცავთ ჩვენ თავისუფლებას ყოველივე რეაქციონური ძალისაგან, განურჩევლათ იმისა, შიგნიდან იქნება იგი მომართული თუ გარედან. რუსეთის რევოლიუცია არც დამპყრობელთა ხიშტების წინაშე დაიხევს და არ მისცემს ნებას გარეშე სამხედრო ძალას იგი გაანადგუროს. ამიტომ ჩვენ მოგიწოდებთ თქვენ: მოიქცეთ ისე, როგორც რუსეთის ხალხი მოიქცა და განთავისუფლდით ნახევრათ თვითმპყრობელი მეფისაგან; უარყავით და განშორდით იმპერიალისტებს და შეერთებული ამხანაგური ძალით შევსწყვიტოთ საშინელი სისხლის ღვრა, რომელიც ჩირქსა სცხებს მთელ კაცობრიობას.

ყველა ქვეყნის მშრომელნო! ძმურათ გიწვდით თქვენ ხელს ძმათა გვამების გორის იქით, უმანკო სისხლისა და ცრემლების მდინარეს იქით, დამწვარ და განადგურებულ ქალაქებსა და სოფლებს,იქით, კულტურის დალეჭულ განძთა იქით და მოგიწოდებთ თქვენ აღვადგინოთ და განვამტკიცოთ საერთაშორისო ერთობა. მასში არის ჩვენი მომავალი გამარჯვებისა და კაცობრიობის საბოლოოთ განთავისუფლების იმედი. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭო.
პეტროგრადი, 14 მარტი.

დეპეშები.

კაკო წერეთლის სიტყვა წარმოთქმული მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სხდომაზე.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სხდომაზე დიდი სიტყვა წარმოსთქვა სოც.-დემოკრატიული ფრაქციის სახელით მეორე სახ. დუმის წევრმა—კაკო წერეთელმა. სანამ ჩავდგებოდეთ—განაცხადა მან—დარაზმული მუშათა კლასის რიგში, მე მსურს გაგიზიაროთ თქვენ ის, თუ როგორ მივიღეთ და მივეგებეთ თქვენს გამარჯვებას, გაგიზიაროთ, თუ როგორ გვესმის დღევანდელ ამბებთან დაკავშირებული დიადი კლასიური მოვალეობა. დიადი არის, ამხანაგო მუშებო, თქვენი ღვაწლი, მაგრამ ამ ღვაწლის სიდიადეს შეგვიძლია შევადაროთ მხოლოდ თქვენი ღვაწლი. თქვენ დაამხვეთ დახავსებული რეჟიმი, და მასთან ერთად ასწონდასწორეთ მდგომარეობა და ნათლათ შეიგნეთ, რომ ჯერ კიდევ არ დამდგარა დრო პროლეტარიატის იმ საბოლოო კლასიური იდეალების განსახორციელებლათ, და რომელნიც ჯერ ჯერობით არსად არაა განხორციელებული. მაგრამ ჩამოჰკრა დემოკრატიის სრული გამარჯვების საათმა, იმ გამარჯვებისა, რომელშიაც მუშებთან ერთად ყველა ქვეყნის სასიცოცხლო ძალებია დაინტერესებული. დღეს ხდება ბურჟუაზიული რევოლიუცია, რომელიც საფეხურია სოციალური რევოლიუციისა. თქვენ გადაეცით ბურჟუაზიას სახელმწიფოს მართვა-გამგეობა, მაგრამ იმავე დროს დარაჯათ უდგიხართ ახლათ მოპოებულ თავისუფლებას. თქვენ კანტროლს უკეთებთ ბურჟუაზიის მიერ გადადგმულ თითოეულ ნაბიჯს,—იწვევთ მათ ბრძოლისაკენ და მხარს უჭერთ მის გაბედულ ნაბიჯებს ძველი რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენი მოძრაობის ბედი დამყარებულია იმაზე, თუ რამდენათ შესძლებს რუსეთი პროლეტ. ხელმძღვანელობით მოპოებულ ყოველგვარ თავისუფლების შენარჩუნებას. ურთიერთ შორის დამოკიდებულება დროებითი რევოლიუციონურ მთავრობასა, რევოლიუციონურ არმიასა, მუშათა კლასსა და ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭოს შორის—აი ის ძირითადი და კარდინალური საკითხი, რომლის სწორ გადაჭრაზეა დამოკიდებული ჩვენი რევოლიუციის ბედი. პროლეტარიატს გარდა, სხვა კლასებიც დაინტერესებულნი არიან დღევანდელ თავისუფლების განმტკიცებაში. თუ რევოლიუციონურ მთავრობას მხარი არ დაუჭირა რევოლიუციონურმა ხალხმა, მაშინ თავს წამოყოფენ ყოველგვარი ბნელი ძალები და რევოლიუციასაც მახვილს ჩასცემენ. მაგრამ პროლეტარიატმა ჩააბარა რა მართველობა ბურჟუაზიას, ფხიზლათ უნდა ადევნოს თვალყური, რომ მართვა-გამგეობა იყოს მიმართული ხალხის საკეთილდღეოთ. მთელი აღმასრულებელი ძალა-უფლება უნდა იქნეს დროებითი მთავრობის ხელში იმდენათ, რამდენათაც ის გაამაგრებს დღევანდელ რევოლიუციას. ამასთანავე დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ ორგანიზაციას შექმნის მუშათა წარმომადგენლობა რევოლიუციონური ჯარისაგან. სწორეთ ამ შემთხვევაში დაგვირგვინდება ბრწყინვალეთ რევოლიუციის საქმე და საბოლოოთ განხორციელდება დემოკრატიის იდეალები. მეორე დიდი საკითხი, რომლის შესახებაც თქვენ თავიდანვე სწორი პოზიცია დაიკავეთ, — არის ომის საკითხი, თქვენ სთქვით, რომ განთავისუფლებულ რუსეთს არ სურს სხვა ხალხების და მონავება და მორჩილება. განახლებული რუსეთი იცავს რა მოპოებულ თავისუფლებას, მოუწოდებს სხვა ქვეყნის ხალხს ძირს დასცენ ის მთავრობა, რომელიც გზავნის რუსეთისკენ ჯარს, რათა ჩაახშოს რუსეთის რევოლიუცია. ჩვენ, ენერგიული დარაჯები ვიქნებით განთავისუფლებული სამშობლოს თავისუფლების დასაცავათ და შეურყეველი სიმტკიცით უკანასკნელი სისხლის წვეთამდი ვიბრძოლებთ, რათა შევინარჩუნოთ და უზრუნველვყოფთ რუსეთის თავისუფლება და რუსეთის განთავისუფლებული ხალხი.

ამხანაგებო, ჩვენ მიერ მიღებულმა ამ გადაწყვეტილებამ, გააერთიანა ყველა დემოკრატიული ძალები. ვფიქრობ, რომ პროლეტარიატი ამ გზიდან ვერ გადაუხვევს. ჯერ არ დამდგარა გადამწყვეტი საათი სოციალურ რევოლიუციისა, მაგრამ დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელსაც ჩვენ ეხლა ბრძოლით ვიგებთ, აახლოვებს კაცობრიობას იმ სანეტარო იდეალთან, რომლისკენაც მიილტვის პროლეტარიატი. ჩვენ მხარს დაუჭერთ დროებითი მთავრობას მის რევოლიუციონურ ნაბიჯებში ისეთივე თავგამოდებით, როგორც თქვენ. ჩვენ ვიცით ფასი ბურჟუაზიისა და გვახსოვს, თუ როგორ ექცეოდა მეოთხე დუმა მუშათა წარმომადგენლების ციმბირიდან დაბრუნების საკითხს, როგორ ეშინოდა მას მუშათა კლასისა. მაგრამ როცა დადგა რევოლიუციონური მომენტი, 3 ივნისის მიერ შექმნილ მეოთხე დუმის ნიადაგზე აღმოცენდა რევოლიუციონური მთავრობა. და სანამ ის რევოლიუციონურია, ხელში უპყრავს მთელი აღმასრულებელი ძალა მთავრობისა, დეე მის გვერდითვე იდგეს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო. სანამ ახალ მთავრობას ხელში უპყრია რევოლიუციონური დროშა, მანამდე ჩვენ მას მხარს დაუჭერთ, როცა ის გადაუხვევს რევოლიუციონურ გზას და კომპრომისს დაადგება ჩვენ მედგრათ შევებრძოლებით მას და დავამხობთ ისე, როგორც დავამხეთ ძველი მთავრობა, მაგრამ, სანამ რევოლიუციონურ მოძრაობის ზეგავლენით მთავრობა მიდის რევოლიუციონური გზით, სანამ ბურჟუაზიის ინტერესები ამ ბრძოლაში ეთანხმება დემოკრატიის ინტერესებს, სანამ ბურჟუაზიის მთელი ძალა მიმართულია ძველი წყობილების ლიკვიდაციისა და დამფუძნებელი კრების მოწვევისაკენ, მანამდე ჩვენ მხარს დავუჭერთ მას“. დაბოლოს წერეთელმა თავისი სიტყვა ასე დაათავა: „გაუმარჯოს თავისუფალ რუსეთს, გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას, გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას“.

უკრაინელთა დეპუტაცია თავ. ლვოვთან.

უკრაინის პროგრესისტთა კავშირის, რევოლიუციონური კომიტეტისა, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტაციამ თავ. ლვოვი ინახულა და მას ბარათი გადასცა, სადაც ისინი მოითხოვენ გადაუდებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას სწავლა-განათლების, სასამართლოსა და ადმინისტრატიულ სფეროებში. თავ. ლვოვი დეპუტაციას თანაგრძნობით შეხვდა. მოლაპარაკების შემდეგ გადასწყვიტეს პეტროგრადში შედგეს უკრაინის სხვადასხვა ნაციონალურ ორგანიზაციებისა და პოლიტიკურ პარტი თა წარმომადგენელთა საბჭო, რომელიც დროებითი მთავრობას უკრაინის გუბერნიებში რეფორმების განხორციელების საქმეში დახმარებას გაუწევს.

გლეხთათვის გაზეთის გამოცემა.

ვიატკის გუბერნიის საერობო საგანგებო კრებამ გადასწყვიტა გაზეთი გამოსცეს გლეხთათვის, რომ ამ გზით მოამზადოს გლეხობა მომავალი დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის. გაზეთი გამოიცემა სრულიათ რუსეთის გლეხთა კავშირის პროგრამის მიხედვით. გაზეთის გამოსაცემათ და სხვადასხვა ენებზე მის გასავრცელებლათ უნდა გადაიდვას 20000 მანეთი. ამდენივე თანხა უნდა იქნეს გადადებული ლექტორთა ორგანიზაციის ბიუროს მოსაწყობათ.

მიტროპოლიტის გადაყენება.

პეტროგრადი. 20 მარტი. უწმიდეს სინოდმა 20 მარტის სხდომაზე დაადგინა გადაყენებულ იქნას მიტროპოლიტი მაკარი, მის მაგიერ დაინიშნა ყოფილ ნოვგეორგიევის ეპისკოპოსი იოასაფსი.

შეწირული ფულის განაწილება.

ერთი მილიონი ფული, რომელიც დენისოვმა შესწირა, სახ. დუმის დროებითმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს შეთანხმებით გაანაწილეს: 800000 მანეთი გადაეცა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს, ხოლო 200000 მანეთი კი დროებითი აღმასრულებელი კომიტეტს.

ნიკოლოზ მეორე თავის მდგომარეობას შეურიგდა.

დარაჯების გადმოცემით, უკანასკნელ დღეებში ნიკოლოზ მეორეს ფერი დაკარგული და სახე მოტეხილი ჰქონდა. საერთოდ ეხლა უფრო აღარაა ისე ნერვებ აშლილი, როგორც დაპატიმრების პირველ დღეებში. დარაჯებთან იშვიათად საუბრობს. ამას წინათ ნიკოლოზ მეორემ მიმართა დარაჯს, რომელსაც წითელი ბანტი ჰქონდა მიკერებული და შეეკითხა, თუ რას ნიშნავს ესაო. ესაა ნიშანი ხალხის გამარჯვებისა ბ-ნო პოლკოვნიკო—მიუგო დარაჯმა ჯარისკაცმა. ამ სიტყვებზე ნიკოლოზმა თავი ჩაღუნა და არაფერი არ უთქვამს. მეორეჯერ ნიკოლოზი შეეკითხა: აქედან გასვლა შემიძლიან თუ არაო. ჯარისკაცმა უარით უპასუხა. თუ მე მაინც მოვისურვებ გასვლას მიუხედავათ აკრძალვისა, მაშინ რას იზამო—შეეკითხა ნიკოლოზი. ამაზე ჯარისკაცმა მიუგო: თუ საჭირო იქნება, იარაღსაც ვიხმარო. ნიკოლოზ მეორემ ამ სიტყვებზე შეხედა დარაჯის გამომეტყველ სახეს და ჩაიჩურჩულა: შენ კარგათ გცოდნია დისციპლინა. მე კარგათ ვიცი ჩემი მოვალეობა სამშობლოს წინაშე—მიაძახა დარაჯმა.

დედოფლის სულიერი განწყობილება.

ყოფილი დაპატიმრებული დედოფალი უფრო ვერ ურიგდება თავის მდგომარეობას, ვიდრე იმისი ქმარი. ის ხშირათ ხმა მაღლა სტირის ხოლმე ისტერიულათ და ხშირათ ექიმს დაუძახებენ დასახმარებლათ ხოლმე. დრო გამოშვებით ის ინგლისურ ენაზე ელაპარაკება თავის ქმარს და უსაყვედურებს ხოლმე, რომ მან სამეფო ტახტზე უარის განცხადება დაიჩქარა. მიუხედავათ ამისა, ყოფილი მეფის მოსვლის დროს, დედოფალი ტირილით მოეხვია ქმარს და უთხრა: მაპატიე, ვინაიდან მე ვარ ყველაფერში დამნაშავე. არა—მიუგო ნიკოლოზმა, ყველაფერი ჩემი ბრალიაო.

ალექსის დესპოტიზმი.

ტახტის მემკვიდრე ალექსის ჯერ არ აქვს გათვალისწინებული და სავსებით შეგნებული ის, რაც მოხდა. მშობლებს მისი ავათმყოფობის ეშინიათ და არ ეუბნებიან, რომ მას მეფობა აღარ შეხვდება. მაგრამ ის მაინც ხედავს და გრძნობს, რომ მოხდა რაღაც ისეთი, რომლის გამოსწორებაც აღარ შეიძლება. დროგამოშვებით ის შემდეგ კითხვებს იძლევა: რატომ ჩვენს სანახავათ აღარ მოდიან მინისტრები და გენერლები? რატომაა ასეთი სიჩუმე და ან მალე წავალთ თუ არა ომში? ამ კითხვებზე ალექსის პასუხს არ აძლევენ, რის გამოც ის ღელდება და შფოთავს. მასში ფეთქს დესპოტიური ძარღვი. როდესაც ვიროზოვას საუბრის დროს წამოსცდა: დარაჯთა უფროსი არ დართავს ნებასო, ნერვებ-აშლილმა ალექსიმ დაიყვირა: აბა ერთი გაბედოს, რომ იმ წამსვე უბრძანებ დახვრეტასო.

დემოკრატიულ რესპუბლიკანური პარტია.

17 მარტს პეტროგრადში ქალაქის თავის გლებოვის თავმჯდომარეობით თათბირი მოხდა, რომელზედაც მრავალი გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწენი დაესწრენ. დასახელებულ კრებაზე თათბირი იქონიეს დემოკრატიულ რესპუბლიკანურ პარტიის დაარსების შესახებ. აირჩიეს კომისია, რომელმაც მომავალ პარტიის პროგრამა უნდა შეიმუშაოს. კომისიაში აირჩიეს: ვაჭრობა მრეწველობის მინისტრი კონოვალოვი, სახელმწიფო დუმის წევრები: ი. ეფრემოვი, დიმიტრიუკოვი, ბარიშნიკოვი, ტიტოვი, ქალაქის თავი გლებოვი, პროფ. იურიევიჩი, კუზმინ-კარავაევი, სენატორი ივანოვი, სამხედრო სამრეწველო ცენტრალურ კომიტეტის თავმჯდომარე მარგულიესი, ქალთა თანასწორობის ლიგის თავმჯდომარე ქალი დოქტორი მიშკინ-იავეინი და ბაზუნოვი.

8 საათის სამუშაო დრო.

სამხედრო მინისტრის თანაშემწე გენერალი მანიკოვსკი თანახმათ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოს დადგენილებისა, განზრახვა აქვს სამხედრო სამრეწველო ფაბრიკა-ქარხნებში რვა საათის სამუშაო დრო შემოიღოს. შესაფერ განკარგულებას ახლო მომავალში გამოაქვეყნებს.

მარიამ თეოდორეს ასული.

დროებითმა მთავრობამ დაადგინა, შეიწყნაროს ყოფილ დედოფალ მარიამ თეოდორეს ასულის თხოვნა. მას ნება ეძლევა საცხოვრებლათ ლივადიაში წავიდეს, მხოლოდ იმ პირობით, რომ იგი იმავე მატარებლით წავიდეს, რომლითაც წავიდა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე და თან იგივე კომისარები ახლდენ.

აგრარიული მოძრაობა.

ქ. ბეჟეცკში სამაზრო მართველობის თავმჯდომარე კორვინ-ლიტვიცკის კარ-მიდამო გლეხებმა გადასწვეს; გაჩეხეს აგრეთვე ტყეები, იუსტიუჟის გლეხებმა გადასწვეს საერობო უფროსის სტრომილოვის კარ მიდამო. საქმის გამოსაძიებლათ სამაზრო კომისარი წავიდა.

პროვოკატორთა სია.

ქ. ხარკოვის დამცველ განყოფილების არქივის გაჩხრეკის დროს გამოირკვა, რომ პროვოკატორთა შორის აღმოჩნდა კანტორისა და ბუჰგალტერთა პროფესიონალური კავშირის მდივანი სოციალ-დემოკრატი კოზლოვსკი. უკანასკნელ დროს კოზლოვსკი ხარკოვის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივში მსახურებდა. იგი მუშათა და ჯარისკაცთ დეპუტატთა საბჭოში მხურვალე მონაწილეობას იღებდა. კოზლოვის გარდა დაიჭირეს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოს წევრი სიგაევი.

პროვოკატორები.

როგორც „რუს. სლოვო“ იტყობინება კრასნოიარსკში დაუტყვევებიათ ორი პროვოკატორი. ერთი პროვოკატორი—ბაზაროვი—ყოფილი მუშათა დეპუტატების საბჭოს წევრი, ხოლო მეორე— ბერეზინი კი კოოპერატივთა ამხანაგობის გამოჩენილი წევრი. ბაზაროვი ეკუთნოდა ს. რ. პარტიას, ბერეზინი ს. დემოკრატიულს. ორივე ისინი ყოფილან „ოხრანკის“ აგენტები. ერთი იღებდა თვიურათ 100 მან. ხოლო მეორე კი—75 მან.

(გაზეთებიდან).

დედოფლის წერილი რასპუტინთან.

აღმოჩდა წერილი, რომელიც დედოფალს რასპუტინისთვის მიუწერია. წერილში ნათქვამია: „აუწერელია ის სიხარული, ჩემო ძვირფასო, რომელიც შენმა ჩვენსას ყოფნამ გამოიწვია. ჩემი ნატვრაა, რომ შენს მხარ-თეძოზე მშვიდათ და წყნარათ დავიძინო. გმადლობ ყველა ამისთვის გაკოცებ მაგრათ; შენ კი დამლოცე და მაპატიე—მე შენი ბავში ვარ“.

დაკითხვა.

სასამართლო პალატის პროკურორი თავრიდის სასახლეში მივიდა და დატუსაღებულ გენერალ ივანოვს დაკითხა.

მეორე სახ. დუმის ყოფილი დეპუტატების ციმბირიდან დაბრუნება.

მეორე სახ. დუმის გადასახლებული სოც.-დემ. დეპუტატები მივიდენ თავრიდის სასახლეში სწორეთ იმ დროს, როდესაც მანიფესტაცია ხდებოდა. ამ დროს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სხდომა ქონდა. საჩქაროთ აცნობს ჩხეიძეს. შეხვედრა იყო მეტათ გრძნობიერი, რის შემდეგაც ახლად მოსულები საბჭოს სხდომაზე წაიყვანეს, სადაც ყველა აუწერელი აღფრთოვანებით და ოვაციებით შეხვდა.

ნეკრასოვის განცხადება.

საგზაო მინისტრმა—ნეკრასოვმა სახ. დუმის თავმჯდომარესთან განცხადება შეიტანა, რომ მინისტრათ დანიშვნის გამო ის სახ. დუმის თავმჯომარის ამხანაგობის თანამდებობას თავს ანებებს.

სარევოლიუციო დღესასწაული.

რევოლიუციის მსხვერპლთა დასაფლავების დღეთ საბოლოოთ გადაწყდა დანიშნონ 23 მარტი. დილის 8 საათზე გამოიტანენ მსხვერპლთა კუბოებს და პროცესია გაემართება მარსის მოედნისაკენ. პროცესიას გაყვებიან სამხედრო რაზმები, ხოლო თვითონ მარსის მოედანზე შეუშვებენ მოწინავე რაზმებს.

მუშათა დეპუტატების საბჭო და 8 საათის სამუშაო დღე.

მოსკოვის მუშათა დეპუტატების საბჭომ გადასწყვიტა 8 საათის სამუშაო დღის შესახებ კომპრომისის გზას დაადგეს და შემდეგი რეზოლიუცია მიიღო: ეს საკითხი შეთანხმებით გადასწყვიტონ და 21 მარტიდან სისრულეში მოიყვანონ. ამასთანავე—სთხოვონ დროებით მთავრობას, რომ ამ საკითხის შესახებ გამოსცეს დეკრეტი. ზედმეტი მუშაობა ექნებათ მხოლოდ ისეთი დაწესებულებების მუშებს, რომელნიც სახელმწიფო თავდაცვის საქმეს ემსახურებიან.

ვაჭარ-მრეწველთა სიეზდი.

მოსკოვში შესდგა ვაჭარ-მრეწველთა სიეზდი. თავმჯდომარეთ აირჩიეს რიაბუშინსკი, რომელმაც სხვათა შორის შემდეგი სთქვა: „პირველ ყოვლისა ჩვენ ჯარი უნდა გვეხსოვდეს. თუ ჩვენ არ გავიმარჯვეთ, იმ შემთხვევაში კაიზერი რუსეთის ტახტზე დასვამს რომელიმე ფერდინადს. შტიკის გამარჯვებაზეა დამოკიდებული თავისუფლების გამარჯვებაო“. სიეზდი სექციებათ დაიყო. პოლიტიკური საკითხების სექციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც ნათქვამია: დამფუძნებელი კრება უნდა იქნეს მოწვეული ოთხ ფორმულიან საარჩევნო სისტემით განურჩევლად სქესისა. უნდა იქნეს მიღებული აგრეთვე პროპორციანალური წარმომადგენლობა დიდი ქალაქებისათვის და მრავალ ერიან ადგილებისათვის. სახელმწიფოს მართა-გამგეობის საუკეთესო ფორმათ სიეზდი რესპუბლიკას ცნობს და აღიარებს აგრეთვე რუსეთის მთლიანობის საჭიროებას. სოციალური საკითხები, რომლებიც ამ ჟამათ რუსეთის წინაშე სდგას, როგორიც არიან მუშათა საკითხი, აგრარული კითხვა და სხვა უნდა გადაწყდეს კანონმდებლობითი გზით თანდათანობით. დამფუძნებელი კრება მოწვეული უნდა იქნეს ისეთ დროს, როცა ხალხის უმეტესობას მიეცემა საშვალება მიიღოს მონაწილეობა შიგ და აგრეთვე ის ხელს არ შეუშლის სახელმწიფოს დაცვისა და მეურნეობის საქმეს. სიეზდის აზრით, დამფუძნებელი კრება მოწვეული უნდა იქნეს მოსკოვში.

სოციალდემოკრატიული კრება.

კვირას მოხდება სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ადგილობრივი წევრთა კრება. კრების ადგილი და დრო შემდეგში გამოქვეყნდება. წევრთა წინასწარი ჩაწერა სწარმოებს გაზეთ ,,ერთობის“ და ,,პაიქარის“ რედაქციებში, აგრეთვე მუშათა დეპუტატების საბჭოში ბ. ულენტთან.

ახალი ამბები

ნოე ჟორდანიამ შემდეგი დეპეშა მიიღო. კერენსკისაგან: გიძღვნი სალამს, იმედი მაქვს თქვენს გავლენას მოიხმართ, რომ კავკასიაში მოარიგოთ პარტიული და ნაციონალური უთანხმოება, რაც ასე საჭიროა საერთო დემოკრატიულ წყობილების გასამაგრებლათ.

◆ **დეპ. ჩხეიძის საპ. წევრათ არჩევა.** ქალაქის საბჭომ დეპ. ჩხეიძე თფილისის ქალაქის საპატიო წევრათ აირჩია, რომ ამით აღინიშნოს ის დიდი სამსახური, რომელიც კ. ჩხეიძემ რევოლიუციის საქმეს გაუწია. ამასთანავე საბჭომ ჩხეიძეს მისალმების დეპეშა გაუგზავნა.

◆ **მუშათა დეპუტატების საბჭო** ამით აუწყებს მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის წევრთ, რომ სხდომა აღმასრულებელ კომიტეტისა დანიშნულია ხუთშაბათს, 23 მარტს დილის 10 საათზე და სთხოვენ დაესწროთ.

◆ **როტმისტრი გადიუჩის დატუსაღება.** გუშინ გოლოვინსკის პროსპექტზე აღმასრულებელი კომიტეტის წევრმა ნიკ. ქუმბურიძემ დაატუსაღა ქუთაისის საგუბერნიო ჟანდარმერიის როტმისტრი ნიკოლოზ ვასილის ძე გადიუჩი. ის აფიცრის ფორმაში იყო გადაცმული.

◆ **კომისარები ქალაქის საბჭოში.** 20 მარტს ქალაქის საბჭოს მორიგ კრებაზე, დაესწრენ კავკასიის კომისარები—ხარლამოვი, პაპაჯანოვი და ჯაფაროვი. საბჭო მათ ოვაციებით და ტაშისცემით შეხვდა. სიტყვით მიმართა ა. ხატისოვმა. მათის მხრით საბჭოს მიესალმა ხარლამოვი, რომელმაც კავკასიას თავისუფლების ნავთსაყუდელი უწოდა, რომელმაც რუსეთს მისცა ისეთი სახელოვანი მებრძოლნი, როგორც კ. ჩხეიძე, ჩხენკელი და სკობელევი არიანო.

◆ **პროპაგანდისტთა კრება.** პროპაგანდისტთა კოლეგიის ბიურო იწვევს კოლეგიის წევრებს საერთო კრებაზე 24 მარტს, საღამოს 7 საათზე სასახლეში მუშათა დეპუტატების საბჭოს ბინაზე.

◆ ამიერკავკასიის მომხმარებელ კავშირის რწმუნებულათ თფილისის გუბერნიის აღმასრულებელ კომიტეტში არიან არჩეული პ. გელეიშვილი, შ. გოგებაშვილი და მათ მოადგილეთ ალ. კორძაია.

◆ კავკასიელ ქალთა საზოგადოებამ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეს მ. ვ. როდზიანკოს და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს თ. ლვოვს შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა: კავკასიელ ქალთა საზოგადოება მხურვალე სალამს უძღვნის სახელმწიფო სათათბიროს, აღმასრულებელ კომიტეტს და მინისტრთა საბჭოს. დიდებული მოძრაობა, რომელმაც გაანთავისუფლა რუსეთის ერები და დაამსხვრია ქალთა უუფლებობის საუკუნოებით შეჭედილი ბორკილები, იმედს გვაძლევს, რომ აღსრულებული იქნება ადამიანისა და მოქალაქის ყველა ბუნებრივი საუკეთესო მოთხოვნილება. საზოგადოება დარწმუნებულია, რომ ახალი მთავრობა სწრაფად მოიწვევს დამფუძნებელ კრებას საყოველთაო სქესისა და ეროვნების განურჩევლად არჩევნების საფუძველზე. შექმნის მოქალაქეობრივი თავისუფლების მტკიცე საფუძველს, მოსპობს სიკვდილით დასჯას და განახორციელებს რეფორმებს, რათა ყველა ეროვნებას მიენიჭოს სრული თავისუფლება შინაურ საქმეთა მართვა-გამგეობის. ჩვენ, კავკასიელმა ქალებმა, რომლებმაც განვიცადეთ ხანგრძლივი და მძიმე უღელი უუფლებობისა, ვიცით მონობის სიმწარე და გვწამს, რომ მხოლოდ სრული თავისუფლება დედა-ენაზე განვითარებისა გაზრდის სამშობლოსთვის სასარგებლო ადამიანებს. კავკასიელ ქალთა საზოგადოება ღრმა პატივის ცემას გიძღვნით თქვენ, როგორც რუსეთის განთავისუფლების მეთაურთა წარმომადგენელთ და მხარს დაუჭერს ახალ მთავრობას.

ამიერ კავკ. აღმასრულებელ კომიტ. წარმომადგ. ყრილობა.

20 მარტის ყრილობამ მოისმინა **ნ. ზ. ელიავას** და ბაქოს ქალაქის თავის **ბიჩის** მოხსენება სასურსათო საქმის შესახებ; აღიარა რომ სასურსათო საქმე ძველმა მთავრობამ მეტათ არივ-დარია. საჭიროთ სცნო ამიერ კავკასიის სასურსათო საბჭოს დაარსება ჯარისა და ფლოტის წარმომადგენელთა მონაწილეობით, ეთხოვოს მთავრობას, რათა ჩრდილო კავკასიაში არსებული სურსათი დასტოვოს ამიერ კავკასიისათვის, რადგანაც იქ მხოლოდ იმდენი მოიპოება, რამდენიც ასე თუ ისე საკმაო იქნება ამიერ კავკასიისათვის. ეთხოვოს მცხოვრებთ, განსაკუთრებით შეძლებულ კლასს, დაზოგვით იხმარონ სურსათი, რადგანაც სურსათის ნაკლებობის გამო ეს აუცილებელი ხდება; ყურადღება მიექცეს სანოვაგის წესიერათ განაწილებას ბარათების სისტემის შემოღებით და სხვ. აღიარა ტრანსპორტის ძველი მთავრობის მიერ ერთიანათ აწეწ-დაწეწა და საჭიროთ სცნო სამხედრო მთავრობას ჩამოერთვას ტრანსპორტის საქმე ვინაიდან ის ამისთვის გამოუსადეგარია და გადაეცეს სამოქალაქო მთავრობას.

დასასრულ ყრილობამ დეპეშა გაუგზავნა დეპ. ჩხეიძეს, თავ. ლვოვს, როძიანკოს, კერენსკის და გუჩკოვს. აგრეთვე მადლობა გამოუცხადა თფილისის კომისარიატს.

პროვინციის ქრონიკა.

ს. ქვიშხეთი. (ქართლი). შესდგა მთელ ქვიშხეთის საზოგადოების მცხოვრებთა მიტინგი. გადასწყდა მისასალმებელი დეპეშა გაეგზავნა ახალ მთავრობას. აირჩიეს 5 კაცი

საგან შემდგარი ალმასრულებელი კომიტეტი. ამ რიცხვიდან ორი დელეგატი შედის ხაშურის კომიტეტში გადამჭრელის ხმით.

ხად. გორი. ოთხშაბათს 15 მარტს შესდგა აქ გრანდიოზული მიტინგი. ხალხი სოფლებიდან იყო ჩამოსული და მოელოდა ახალს სიტყვას. მაგრამ სამწუხაროდ მეტად ცუდი შთაბეჭდილება დასტოვა ხსენებულმა მიტინგმა გლეხობაზე. ამის მიზეზათ კი უნდა ჩაითვალოს ჩვენებური ფედერალისტების მოუფიქრებელი სიტყვების რახა-რუხი და დროს შეუფერებელი უტაქტიკობა. მიტინგზე ილაპარაკა ვინმე დიასამიძემ და ისეთი სიტყვები წამოისროლა, რაც სრულიად არ მოსწონებია ხალხს და ბევრში აღშფოთებაც-კი გამოიწვია. რომ იქ დამსწრე ამხ. ნიკ. იმნაიშვილს არ ელაპარაკა ბოლოს, ვგონებ ისე დაიშლებოდა მიტინგი, რომ რაიმეს დადგენილებასაც-კი ვერ მოაგვარებდნენ მიტინგის ინიციატორნი.

ხაშური. ხაშურის ალმასრულებელმა კომიტეტმა—ბიუროს წინადადების თანახმათ დაადგინა გადაყენებულ იქნას თანამდებობიდან მესამე განყ. მომრიგებელი შუამავალი თ-დ. გიორგი ნიკ. ვეზირიშვილი, აგრეთვე დაადგინა გადაყენებულ იქნას სამსახურიდან მიხაილოვის სადგურის უფროსი ალექსანდრე ზერმანი. ამ პირთა გადაყენება დაევალა ალმასრულებელ კომიტეტის ბიუროს.

თავისუფლების პირველი დღეები.

(წერილი ასტრახანიდან)

1.

ტყვილა უთქვამთ: მოწმენდილ ციდან მეხი არ ჩამოვარდებაო. განა მოწმენდილ ციდან მეხის ჩამოვარდნა არ არის ყველაფერი ის, რასაც ჩვენ დღეს ვხედავთ!..

ექს-იმპერატორის ნოკოლოზ რომანოვის მთავრობამ მთელი რუსეთი ბორკილებში ჩაჭედა, ყველაფერი, რასაც კი სიცოცხლის ნიშან-წყალი გააჩნდა, ციხის ჯურღმულებში ჩაასამარა; საუკუნეთა განმავლობაში შექმნილ პოლიტიკურ ორგანიზაციის მეოხებით მთელი ხალხი დაიმონა... შებოჭა აზრი, გრძნობა, აღმაფრენა, ეცადა ჩაეკლა ყველაფერი კეთილშობილური და ადამიანური...

სამხედრო რეჟიმის შექნით მთელ რუსეთს საფლავის ვებერთელა ქვა დაადეს ზედწარწერით: აქ განისვენებს რუსეთის აზრი და გრძნობაო...

და შეიქნა სიჩუმე, სიჩუმე სამარისებური გულის მომკვლელი...

მაგრამ ეს იყო იმავე დროს საშინელი ყვირილიც, მთელი ქვეყნას გასაგონათ გულის გამგმირავი ამოძახილი... „Громкозвучная тишина“...

მთელი შეგნებული რუსეთი კარგად გრძნობდა, რომ ბიუროკრატიული ხელით ცის ტატნობიდან ღრუბლების გადარეკა მეხის გავარდნას ხელს ვერ შეუშლიდა, ყველა ცეცხლით მქშინავ მთის მწვერვალზე გრძნობდა თავს...

და უცებ ვულკანმაც ამოხეთქა, მეხიც გავარდა...

როგორ შეხვდა ამ ამბავს პროვინციალური რუსეთი და კერძოთ ასტრახანი? სხვა ქალაქების დაწვრილებით არაფერი ვიცი, მე მოგახსენებთ მხოლოდ ასტრახანზე, რომელიც პირდაპირ ტიპია რუსეთის ჩვეულებრივ მიყრუებულ, უსიცოცხლო და მეშჩანურ ქალაქისა. ამავე დროს ყველაფერი ის, რაც აქ მოხდა ამ ბედნიერ დღეებში, ჩემის აზრით, უთუოდ ტიპიურია დღევანდელ პოლიტიკურ მომენტში. ასტრახანის მაგალითი მშვენივრად ხსნის და ასაბუთებს მთელ ჩვენს შეხედულებას დღევანდელ მომენტზე...

ირგვლივ სიჩუმე იყო: პოლიცია ფრთებ ასხმული ბატონობდა, დამონებული მშრომელი ხალხი თავჩაქინდრული მუშაობდა... არსად სიცოცხლე, არსად ნიშანწყალი აღმაფრენისა... ადგილობრივ გაზეთებს უსაზღვრო თავისუფლება ჰქონდათ მინიჭებული გერმანელების სალანძღავათ და სათრევათ, სხვა კითხვები კი მათთვის არ არსებობდა და ისინიც შეუბრალათ წამლავდენ ისედაც მოშხამულ ატმოსფერას...

და უცებ... დეპეშა მოვიდა... ცირკულიარულით გაგვანთავისუფლეს!..

პირველ მარტს ბუნდოვანი ხმები დადიოდა პეტროგრადის შესახებ, მაგრამ ურწმუნო თომებს არაფერი გვჯეროდა. შუაღამისას დაჟინებით დაადასტურეს, რომ „მნიშვნელოვანი“ დეპეშა მოვიდაო. მივირბინეთ რედაქციებში, გვინდა გავიგოთ სიმართლე... იქ კი ღიმილით და მხრების აჩეჩით გვეუბნებიან: არ ვიცით, ვერაფერს გეტყვითო... იქავ ამთქნარებენ პოლიციელებიც...

ნერვიული მდგომარეობა უმაღლეს წერტილამდე აღწევს: ვკითხულობთ აქეთ, იქეთ, მაგრამ არავინ იცის დანამდვილებით თუ რაშია საქმე... ამ მდგომარეობამ დილამდის გასტანა.

— ნება დართეს, დეპეშა იბეჭდებაო,—გავიგეთ დილისას... კიდევ წუთები და... ყველაფერი გამოირკვა... აღმოხეთქა თავისუფლების შადრევანმა... მთელი ქალაქი გაკვირვებამ და აღფრთოვანებამ მოიცო.

მაგრამ ყველა გრძნობს, რომ მარტო ეს არ კმარა, საჭიროა საქმეც... ცირკულიარულით ზევიდან განთავისუფლებას თუ რეალურათ არ გავატარებთ ცხოვრებაში, ის მალე გამოგვეცლება ხელიდან, ამიტომ საჭიროა ეხლავე პოზიციების დაპყრობა და შესაფერი გამაგრება.

დილის 10 საათზე იკრიბება სოციალდემოკრატების წრე და ირჩევს „ინიციატივურ ჯგუფს“, რომელიც ქალაქის თვითმართველობასთან ერთად სათავეში უნდა მოექცეს დაწყებულ მოძრაობას. სხვა პარტიები ჯერ არ ჩანან, საქმეს ჯერ არავინ შესდგომია... მთელი — საშინელი ნერვიულობა მეფობს მთელ ქალაქში. არავინ იცის რა სახეს მიიღებს ყველაფერი ეს. ირგვლივ გაისმის:

— დავხოცოთ პოლიციელები!..

— დავარბიოთ ვაჭრები, მათ შექმნეს სიძვირე!..

არც ერთი და არც მეორე, რასაკვირველია სასურველი არაა. თუ მართლა ეს მოხდა, ვინ იცის რა დატრიალდება, შეიძლება ასტრახანის თავისუფლება დროებით კიდეც დასამარდეს: ჯერ არ ვიცით რას იზამს ჯარი, რეაქციონური კაზაკობა, პოლიცია საგანგებოთაა შეიარაღებული, წინა დღეებში ვარჯიშობა ჰქონდათ სროლაში, მზათა აქვთ ტყვიისმტყორცნელები...

სოციალ-დემოკრატები, რომელთაგან თითქმის ყველა გადმოსახლებულია ძველი მთავრობისაგან უკვე ალაპარაკდენ ქუჩებში... ის ხალხი, ვინც აქნამდი სოროებში იყო ჩამწყვდეული და ენაზე ბოქლომი ედო, უკვე განთავისუფლდა და ხელფეხ გახსნილია... მოუწოდებენ სიწყნარისაკენ, მშვიდობიანობისკენ, თხოვენ ენდონ მათ მქმედებას და ისინი ხალხს არ უღალატებენ, დაიცავენ მისს ინტერესებს.

არსად მშვიდობიანობა არ ირღვევა, ყველგან სიწყნარეა. პოლიცია ყურებ ჩამოყრილია, რა ქნას არ იცის, ხედავს, რომ აბობოქრებული ტალღა შთანთქვას უქადის. რითი გაუმკლავდეს მას, რითი შეაჩეროს?.. ხმა გავრცელდა: სალდათები აჯანყდენ, რეაქციონერი კამანდირი დაიჭირეს და ახალი აირჩიესო. ხალხში აღფრთოვანებაა, აუწერელი ენტუზიაზმია... ეს ხმა მართალი გამოდგა, რევოლიუციონერი ჯარი ქუჩაში გამოვიდა იარაღით...

ნაშუადღევს, როცა კიდევ დაადასტურა დეპეშამ პეტროგრაოში მომხდარი „გადატრიალება“, სხვა ზომიერი ელემენტებიც გამოვიდენ ქუჩაში; თავი წამოყვეს ესერებმა, კადეტებმა, ოქტომბრისტებმა და ყველა იმათ, ვინც არც ერთ პარტიას არ ეკუთვნის, მარა რომელიმე საზოგადო დაწესებულებაში მუშაობს და ასე თუ ისე ერთგვარ საზოგადოებრივი აზრის შემქნელათ მოაქვს თავი.

ამ დროს ქუჩები უკვე ხალხითაა სავსე, ტევა არაა, საქალაქო დარბაზი ალყა შემორტყმულია, ელიან თვითმართველობის შეკრებას შვიდ საათზე მართლაც იწყება კრება...

ნელა მოიყარეს თავი ზომიერმა „ცენზოვნიკებმა“, დამფრთხალნი არიან, რაღაც დარცხვენილნი შემოდიან, მოზღვავებულ ხალხს თვალს ვერ უმაგრებენ... გრძნობენ, რომ ნიადაგი ეცლებათ ფეხქვეშ, სავარძლები შერყეთ. გუშინ წყნარათ იკრიბებოდენ ამ დარბაზში, არავინ ხელს უშლიდა მათ, ისინი მთელი ქალაქის ბატონები იყვნენ... დღეს კი... რა ხდება? რაშია საქმე?

— კრებას ვაცხადებ გახსნილათ,—ამბობს ათრთოლებულის ხმით ქალაქის თავი და უცებ ჯდება. დგება სოციალ-დემოკრატების ზევით დასახელებული ჯგუფი და მოითხოვს, რომ წაკითხული იქნას მის მიერ გამომუშავებული დეპეშა, რომელიც უნდა გაეგზავნოს სახ. დუმის ალმასრულებელ კომიტეტს ასტრახანის მოქალაქეთა სახელით...

— არ მესმის რაშია საქმე,—გაიძახის ქალაქის თავი,—ვინაა ეს ხალხი, საიდან მოვიდა?.. მე „გლასნებთან“ მაქვს საქმე, თქვენ რას მეჩრებით?..

— გაქრა ის დრო, როცა თქვენ „გლასნებს“ ელაპარაკებოდით, ამ წუთიდან თქვენ მთელ ხალხთან გაქვთ საქმე და არა ერთ მუჭა ქონებიან „გლასნებთან“!.. ვინ აგირჩიათ თქვენ, ვინ მოგცათ იმის ნება, რომ ხალხს ეპატრონოთ, ხალხი თვითონაა თავისი თავის პატრონი! უპასუხებენ ესდეკები.

— ეს რა მესმის,—კვირობს ქალაქის თავი,—ჩვენ აქ კანონის ძალით ვართ მოწოდებული!..

რის კანონი?! რომელი კანონი!? მოისპო ის კანონი, დღეს ჩვენ ახალს ვქმნით... ქალაქის თავი ზარის წკარუნს თავს ანებებს და თავზარდაცემული ჯდება... საერთო ჩოჩქოლია, ხალხი გაჰკივის წაკითხულ იქნეს ესდეკების დეპეშა და „გლასნებიც“ გამოეთხოვონ ბნელ ჩვეულებებს.

— ქალაქის „მამები“ იძულებულნი არიან ქედი მოიხარონ. დეპეშას კითხულობენ... დაუსრულებელი ტაშის ცემაა... მოითხოვენ ეხლავე გაიგზავნოს პეტროგრადში.

წინადადება შემოდის ქალაქის მამებმა, ესდეკებმა და სხვა ჯგუფებმა ერთად გამოიმუშაონ პეტროგრადში გასაგზავნი დეპეშა. წინადადებას მიიღებენ. ირჩევენ შესაფერ პირებს. ისინი მეორე ოთახში გადიან, საქალაქო დარბაზში კი მიტინგი იმართება, არკვევენ პოლიტიკურ მომენტს...

მეორე მიტინგი გუბერნატორის სახლის წინაა, მოზღვავებული ხალხი განგებ შეჩერდა ძველი რეჟიმის ბურჯის ბინასთან და უშიშრათ ააშკარავებს თავის გულის ნადებს. უცებ გაისმის:—ჯარი მოდისო და მართლაც აჩქარებულის მარშით და გიჟმაჟის სიმღერით შეიარაღებული პოლკი სალდათებისა ისარივით მიეშურება მიტინგისკენ. ჯარს წინ მიუძღვებიან ხმლებ ამოწვდილი აფიცრები. ხალხი იბნევა, არ იცის კარგად რაშია საქმე.

— ხალხო, ჩვენც თქვენთან ვართ! ძირს ძველი მთავრობა, გაუმარჯოს ახალს,—გაისმის მკვეთრი ხმა აფიცრისა. აქოთქოთებულ ზღვასავით იგრიალა ხალხმა, დაუსრულებელმა ტაშისცემამ მოიცვა იქაურობა... ჯარი მედგრათ შეიჭრა ხალხში, რევოლიუციონურის ყიჟინით გაჰკვეთა მილეთის ბრბო და ცერემონიალურის მარშით მიიჭრა გუბერნატორის სახლთან.

— Шаг на мѣстѣ! На... лѣво! გაისმა კამანდა კამანდაზე და აღფრთოვანებული ჯარი გუბერნატორის წინ გაჩერდა. კიდევ კამანდა და იარაღიც ძირს დაუშვეს.

აღფრთოვანების უმწვერვალესი წამებია, ტაშისცემა აყრუებს იქაურობას. ჯარის წინ მოიდანი კეთდება უცებ, ტრიბუნაზე ადის რევოლიუციონური აფიცრობა და სიტყვებს ამბობს. კიდევ ტაშის გრიალი, კიდევ ყიჟინა...

ვ. ხუროძე.

(დასასრული იქნება).

ჩვენი კორესპონდენტების საყურადღებოთ!

ვინაიდან რევოლიუციის ცხოვრება ძლიერ ბევრ მასალას იძლევა და რედაქცია ამის შესახებ მრავალ წერილებს იღებს, ამიტომ უადგილობის გამო იძულებული ვართ რევოლიუციამდის მიღებული წერილები აღარ დავბეჭდოთ, რადგან მათ მნიშვნელობა ისედაც დაკარგული აქვთ.

დღეს დაკრძალეს.

დღეს დაკრძალეს, ვინც მოსტეხა
ორთავვიან არწივს ფრთები;
დღეს დაკრძალეს, ვინც დაიხსნა
ბორკილებში მყოფი ძმები;
დღეს დაკრძალეს, ბასტილია
ვინც დაამხო, დააქცია;
დღეს დაკრძალეს, ვინც ქუჩებზე
სისხლი უხვათ დააქცია;
დღეს დაკრძალეს, ვინც ქვეყანას
მოახია შავი ფარდა;
დღეს დაკრძალეს, ვინც ტანჯულ ხალხს
სულზე უფრო შეუყვარდა.

—

ახ, გმირებო! ძმურ საფლავში
განისვენეთ წყნარათ, ტკბილათ;
უკარნახეთ ცოცხალ მოძმეთ—
უდარაჯონ ქუჩას ფრთხილათ!
თქვენი საქმე საარაკო
ივლის ქვეყნათ უკვდავ ზღაპრათ
და მომავალ თაობასა
აენთება გულში ლამპრათ!
თქვენ ხართ აწმყო-მომავლისა
შემაერთი მტკიცე ხიდი:
ვერ დაჩრდილავს თქვენს ნათელ-შუქს
მთელი ქვეყნის ღრუბელ-ბინდი!

ვ. რუხაძე.

მიტინგი სოფ. მეჯვრისხევში.

(გორის მაზრა).

19 მარტს, ს. მეჯვრისხევში შესდგა დიდი სახალხო მიტინგი. მიტინგს 55 სოფლის მცხოვრებნი დაესწრენ. დილიდან ხალხმა იწყო დენა. ყოველ მხრიდან მოაფრიალებდენ წითელ დროშებს ზედ წარწერით: „გაუმარჯოს თავისუფლებას“, „გაუმარჯოს თავისუფალ რუსეთს“, „გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას“ და სხ.

დილის 11 საათზე გაიხსნა მიტინგი. ილაპარაკა სულ ოთხმა ორატორმა: ერთმა ფედერალისტმა, ერთმა ნაციონალ-დემოკრატმა და ორმა სოციალდემოკრატმა. ყველა ორატორები ახასიათებდენ დღევანდელ მომენტს. ისინი უთითებდენ დაეცვათ წესიერება, არ ეხმარათ ძალმომრეობა მიწებისა და ტყეების ძალით ხელში ჩაგდებისა. მიწების და ტყეების საქმეს მოაწესრიგებს დამფუძნებელი კრება, არჩეული საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭის ყრით—განუცხადა ხალხს თფილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს წარმომადგენელმა, ჯერ ჯერობით კი იქონიეთ მოთმინება, გამოიჩინეთ გონიერება და მოაწყვეთ თქვენი სოფლური ცხოვრება ისე, როგორც თქვენ მოგიხდებათ, აირჩიეთ გლეხთა დეპუტატების საბჭოში უმწიკვლო და პატიოსანნი პირები. მთელი რუსეთი—განაგრძობს ორატორი—მოფენილია მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოებით. მათ ხელშია ფაქტიურათ მთელი რუსეთის ბედ-იღბალი; მათ აზრს ანგარიშს უწევენ ალმასრულებელი კომიტეტები. უკანასკნელს არ შეუძლია არც ერთი დაადგენილება გაატაროს ცხოვრებაში, თუ თანხმობა არ მიიღო მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოებიდან. ამისათვის—ურჩევს წარმომადგენელი მიტინგს თქვენც დაუგდეთ ყური თქვენ მოწინავე მოძმეებს და იმოქმედეთ მათი მოცემული დირექტივებით“.

დაბოლოს მიტინგმა მიიღო რეზოლიუცია: გამოუცხადოს დროებით მთავრობას თანაგრძნობა, მიესალმოს პეტროგრადის მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოებს; აცნობოს მთავრობას, რომ დამყარდეს ეროვნებათა შორის სრული პოლიტიკური და ეროვნული თანასწორობა; განხორციელდეს სრული თავისუფლება კრების, სიტყვის, კავშირების და იქნას მოწვეული დამფუძნებელი კრება დემოკრატიული რესპუბლიკის დასამყარებლათ. რადგანაც ტეხნიკურათ მოუხერხებელი შეიქნა მიტინგს იქვე აერჩია გლეხთა დეპუტატების საბჭო, ამისათვის ყოველმა სოფელმა დაასახელა თითო კაცი, რომლებიც თავ თავის სოფლებში მოახდენენ ოცისთავების არჩევნებს.

დამსწრე საზოგადოება, ძლიერ კმაყოფილი მიტინგით, სახე გაბრწყინებულები დაიშალნენ მშვიდობრათ და წესიერათ საღამოს 4 საათზე.

ვარლამი.

საგუბერნიო ციხის ტუსაღებისაგან.

ჩვენ ცივ საკანშიაც შემოანათა თავისუფლების სხივმა და ძველი რეჟიმით დაბნელებულ გულს, ალიონის ელფერი დაადო. ვულოცავთ თავისუფლებისთვის თავდადებულ გმირებს ამ ბრწყინვალე გამარჯვებას, და ძველი სულთა-მხუთავი რეჟიმის სამუდამოთ დამხობას, ვუერთდებით მოუთმენარის აღტაცებით და განწმენდილის ენერგიით ახალ მმართველობას, და ღრმათა ვართ დარწმუნებული, რომ ახალი მმართველობა, შეინარჩუნებს თავისუფლებას. ჩვენ მზათ ვართ ამ საერთო საქმეს ვემსახუროთ და ხალხის საკეთილდღეოთ მსხვერპლი გავიღოთ. პანტელეიმონ ბაბილოძე, გიორგი იმანიძე, ექვსტახი დადიანიძე, ვასილ ახვერდოვი, სილევან მამასახლისი, არჩილ გოგიტაიშვილი და ვასილ ტოგონიძე.

ამხანაგების მინდობილობით **პანტელეიმონ ბაბილოძე. თფ. № 1 ციხიდან.**

მუშათა ცხოვრება.

კახეთის რკინის გზაზე. კვირას, 19 მარტს, სადგ. ნავთლუღში მოხდა კახეთის რკინის გზის მუშა მოსამსახურეთა კრება, რომლის საგანს შეადგენდა არჩევა თავიანთ შორის დროებითი კომიტეტის წევრებისა, რომელსაც ევალება წეს-რიგის დაცვა გზაზე, მოსამსახურეთა ურთ-ერთ შორის დამოკიდებულებაზე ზრუნვა და სხვა. კრებამ დაადგინა არჩეულ იქნას ყოველ ას მოსამსახურეზე ერთი წარმომადგენელი. რადგანაც კახეთის გზაზე სულ 1200 მოსამსახურეა, ამიტომ ასარჩევი იყო სულ თორმეტი კაცი. კრებამ იქვე აირჩია თუთხმეტი კაცისაგან შემდგარი კომისია და დაავალა ამ საკითხის გამომუშავება. კომისიამ მთელი გზა დაყო ხუთ დარგათ: „ტიაგო“, „პუტი“, მოძრაობა, საექიმო ნაწილი და სამმართველო და სასურველათ სცნო ამ დარგებიდან უსათუოდ იყოლიოს კომიტეტში თითო წარმომადგენელი, დანარჩენი 7 წევრი-კი—ვინც თვით საქმისათვის უფრო გამოსადეგი და შესაფერისი იქნებიან.

კომისიის მიერ წარმოდგენილი გეგმა—კრებამ უცვლელათ დაამტკიცა და ამნაირათ შესდგა დროებით კომიტეტი 12 კაცისაგან.

ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ კომიტეტი ღირსეულად შეასრულებს თავის დანიშნულებას, აგრეთვე მუშა მოსამსახურეები ზურგს გაუმაგრებენ თავიანთ არჩეულ პირებს და გაუადვილებენ იმ საპასუხისმგებლო მუშაობას, რომელიც კომიტეტს ევალება.

№.

„რიადჩიკ“ იასონ გორგოძეს და პლატონ ქაშაკაშვილს. 1916 წ. 14 ნოემბრიდან დააყენეს მუშები: „რიადჩიკ“ პლატონ ქაშაკაშვილმა, იასონ გორგოძემ, ივანე შალამბერიძემ და პროკლე ჩიქვინიძემ ბათუმიდან ტრაპიზონში მიმავალ რკინის გზაზე, რომელიც ქონდა აღებული ბ. ინჟ. ჟდანოვისაგან შემდეგი პირობებით: უნდა დაეყენებიათ მუშები არა ნაკლები ორასი კაცისა; ყოველივე წარმოება უნდა ყოფილიყო ხსენებული რიადჩიკების; მხოლოდ ინჟინერ ჟდანოვს უნდა მიეცა ყოველ ორი კვირის შემდეგ ჯამაგირი მუშებისთვის დასარიგებლათ, საიდანაც დღიურათ თითო კაცს 2 მ. და 50 კაპ. ხვდებოდა. საქმის გათავების შემდეგ უნდა გაეზომა გაკეთებული გზა და მიეღო მთელი ანგარიში ინჟ. ჟდანოვისაგან. თითონ „რიადჩიკებს“ საქმე დაყოფილი ქონდათ: იასონ გორგოძეს და პლატონ ქაშაკაშვილს ევალებოდათ ფულის მიღება-დარიგება და სხვა... ივანე შალამბერიძეს და პროკლე ჩიქვინიძეს კი უნდა ეწარმოებია მუშა.

გავიდა ორი კვირა და მიიღო მუშების დასარიგებელი ფული. გაუსწორდა მუშებს, მაგრამ 3 კაცი თუ იქნებოდა, რომელთაც 3—3 მანეთი მისცა და ისიც კერძო შეხედულებით, მიუხედავათ იმისა, რომ მუშებს 3 მანეთს დაპირდნენ და უმრავლესობას 3—3 მანეთი მიეღო კანტორიდან.

ამას ვინ დაეძებს მეორე ორი კვირის „პოლუჩკა“ უნდა ყოფილიყო 15 დეკემბერს. წაბრძანდენ იასონ გორგოძე და პლატონ ქაშაკაშვილი ფულის მისაღებათ. ბრუნდებიან და ამბობენ: ფული არ იყო კასაშიო და ამრიგათ 5000 მ. მაგიერ 2000 მ. მოგვცესო და პირდებიან: მეორე „პოლუჩკაზე“ ყველას ერთათ მიიღებთო. ამნაირათ დაარიგეს 1500 მანეთი და კიდეც გა[illegible] ფულში, რის შემდეგ თვალითაც [illegible] მუშებს. დიდი ხნის ლოდინის შემდეგ ჩვენც ეჭვი შეგვეპარა. გამოვიძიეთ საქმე, აღმოჩნდა, რომ მიღებული უკანასკნელ „პოლუჩკაზე“ 4000 მანეთი თქვენ იასონ გორგოძემ და პლ. ქაშაკაშვილმა გაიტაცეთ საწყალი მუშის ოფლით მორწყული ფული 2500 მ. და ფულის მაგიერ ივანე შალამბერიძე ბეთ დაუტოვეთ მუშებს, ხოლო მუშები კი, გაუშვით მშრალზე და ცხარე ცრემლებით ატირებული.

ამაზე ჩვენ მოვათავსეთ მცირე კორესპონდენცია თანამედროვე აზრის 44 ნომერში, სადაც მოგიწოდებდით დაუყონებლივ ანგარიშის გასწორებას, მაგრამ იმის ნაცვლათ, რომ სიმართლის გზას დადგომოდით, გამოდიხართ და გაიძახით რევორვერით უნდა გავსწორდეთ მე და შალამბერიძეო. რა თქმა უნდა, თქვენ პირნათლათ შეასრულებდით ტარიელ მკლავაძის როლს, მაგრამ დარწმუნებული კი ხართ, რომ თქვენი ტარიელის წაბაძვა მისავე საბოლოო ბედთან არ მიგიყვანდათ?

დასასრულ მოუწოდებთ ბაღდადის ინტელიგენციას სიფრთხილით მოეპყრან ასეთ საეჭვო პირებს, რომ არ ქონდეს მათ ალაგი საზოგადო საქმეში, ვინაიდან ეს ვაჟბატონები არ გასწორდენ ეხლაც კი, როდესაც ყოველი კუთხიდან აღფრთოვანების ხმა ისმის და აღტაცებით ეგებებიან ახალ მთავრობას.

ამხანაგების მინდობილობით **ი. შა—ძე.**

თფილისის დეპო. დიადი დრო დაგვიდგა: სტოლიპინ-რასპუტინის მთავრობამ სამუდამოთ განუტევა სული. რუსეთის პროლეტარიატმა ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ბასრი დანა ჩასცა რომანოვების დინასტიას გულში. ეს ფრიად დიდი, სასიამოვნო მოვლენაა მეტადრე მუშების და მათ მოძმე გლეხობისთვის. გულ განგმირული დაეცა ის ცხრა თავიანი მდევი, რომელიც შეუბრალებლად სძიგნიდა ხალხის ბედნიერებას,—და მი ალაგზე ამობრწყინდა მაშვრალთა სევ გამფანტველი მზე. მაგრამ უნდა შევისისხ ცოთ, რომ რევოლიუციას დაგვირგვინება და. უკიდურეს შემთხვევაში ბნელი ძალები კვლავ ამოტივტივდებიან ცხოვრების ზედაპირზე. ჩვენი ვალია მუდამ წინ სიარული, ერთ ადგილზე ტკეპნა ჩვენ არ შეგვიძლია და რომ წინ ვიაროთ და რევოლიუცია ბრწყინვალედ დავაგვირგვინოთ საჭიროა განვითარება შეგნება-შეკავშირება, სწავლა და განათლება, რაც ლამპარია წინსვლისთვის. უამისოთ თავისთავად დავასამარებთ სისხლით მოპოებულ უფლებებს. ჩვენ ვეტრფით დამფუძნებელ კრებას, სადაც უნდა გადაწყდეს დიდი ეაკითხები ერთა თანსწორობა, აგრარული საკითხი და სხვა. თუ ეს საკითხები სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ გარკვეული არა გვაქს, ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხებს ბრმდეთ გამოვიყენებთ. მარტო რვა საათია სამუშაო დღე, ჯამაგირების მომატება ნუ დაგვაკმაყოფილებს. სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხების გადამწყვეტი არის მხოლოდ და მხოლოდ განვითარება-განათლება და მასზე აშენებული დემოკრატიული რესპუბლიკა, ფართე ამ სიტყვის მნიშვნელობით. მაშასადამე ჩვენ, ისევ დემოკრატიამ და მისმა მებაირაღტრე მუშებმა უნდა ჩვენი საქმე ჩვენი ძალით განვაგრძოთ და რომ ასე მოხდეს საჭიროა ყოველივე საკითხის კარგათ განათება, გამორკვევა ჟურნალ-გაზეთების, და ლექციების საშვალებით და სხვადასხვა თათბირების მოწყობით. სამწუხაროდ უნდა ვსთქვა, რომ თფილისის დეპოში საქმე არაა კარგად. მუშების უმეტესობას არ ესმის თუ რაა დამფუძნებელი ბა, დემოკრატიული ან სხვანაირი რეს ლიკა, აგრარული საკითხი და სხვა. ჟურნ გაზეთებს ძლიერ იშვიათად თუ ეტანებ კრებები თითქმის არ ხდება, მოიწვიეს კრება, ამოირჩიეს დელეგატები და გათა ამით. მოწინავე მუშები ვალდებული არიან გამართონ კრებები, განუმარტონ ჩამორჩენილ მუშებს საჭირბოროტო კითხვები, შეაგნებინონ მათ კარგად თუ რაა დამფუძნებელი კრება, დემოკრატიული რესპუბლიკა, აგრარული საკითხი და სხვადასხვა, რომ პირნათლათ მომზადებულად შევხვდეთ ჩვენს ვალდებულებას. ასე უნდა მოიქცენ სხვა დარგის მუშებიც არა თუ მარტო თფილისის დეპო. ეს უკანასკნელი კი ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს. იმედია თფილისის დეპოს მუშები მაგალითს მისცემენ სხვა მოძმე დეპოს მუშებს, ბრწყინვალე მომავლის საკითხების გამორკვევა განათებაში. ეს მოხდება შეერთება-შეკავშირებით, ჟურნალ-გაზეთების კითხვით, ხშირი კრება-ლექციების მოწყობით და სხვა.

ორიოდე სიტყვა ქრთამებზე. ქრთამი ძლიერ ფესვ გადგმულია ამ დეპოში. დიდი ღვაწლი ამაში ბატ. ნ—ძეს მიუძღვის. დახავსებულ მთავრობასთან ერთად, ესეებიც უნდა სამუდამოთ დასამარდეს და ნ—ძეებისთანა ვაჟბატონები სამარცხვინო ბოძზე უნდა გამოეკრას და ხალხის მსჯავრი უნდა დაედოს.

საქარელი. შ.

ხარფუხის საზოგადო კლუბი
მიხეილოვის პროსპექტი № 163, საზამთრო შენობა.
ხუთხშაბათს, 23 მარტს, ქართულ ოპერეტის დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ცნობილი აზიური ოპერეტა
არშინ მალ-ალან.
თხზულება ადჯი ბეგოვისა.
დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე. წარმოდგენაზე შესვლა უფასოა.

რევოლიუცია პროვინციაში.

ახალქალაქის რაიონი. ძველი წესწყობილების დამხობას და თავისუფლების გამარჯვებას ხალხი აღფრთოვანებით ეგებება. საზოგადოებებში იმართება კრებები და მიტინგები უმთავრესათ ადგილობრივ ძალების მეობებით, სადაც ხალხს გასაგები ენით უხსნიან მომხდარ დიდ ამბების მნიშვნელობას, ძველი მთავრობის მინისტრებ-მეფიანად გადაყენება დატყვევებას და ახალი სახალხო დროებითი მთავრობის დაარსებას. ყველა ეს ისე მოულოდნელად დაატყდა ხალხს თავზე, რომ პირველ ხანებში ხალხს არ სჯეროდა ასეთი მოულოდნელი ბედნიერება და შიშით და ეჭვით შეხვდა პირველ მომხდარ ამ ებს. მაგრამ დროთა მსვლელობა და გაბედული რევოლიუციონური ნაბიჯები და აქტები, რომელნიც პეტროგრადის მუშათა საბჭოს და დროებითი მთავრობის მხრივ გამოიხატება ძველი წყობილების სრულ დასამარებაში და მისი წარმომადგენლების გადაყენება დატყვევებაში და აგრეთვე მთელი ჯარის ხალხის მხარეზე გადასვლამ და მასთან მტკიცე კავშირის შეკვრამ, იმედები აღუძრა ხალხს და დაარწმუნა, რომ ხალხის საქმე გამარჯვებულია და დიდი ხნის ტანჯვის შემდეგ ეღირსა თავისუფლება და ბედნიერება. ყველა სიხარულით და იმედებით მიეშურება კრებებზე, სადაც ესმით თავისუფალი სიტყვა ხალხის თავისუფლება-ბედნიერებაზე. კრებებზე გამოაქვთ დადგენილებები, რომლითაც თანაგრძნობას უცხადებენ დროებითი მთავრობას—მუშათა საბჭოს და სახალხო დეპუტატებს ჩხეიძეს და კერენსკის: ხალხში გაიგონებთ, რომ ჩხეიძემ მოახდინა ყველა, რაც მოხდა, რომ ის დადის და ატყვევებს მინისტრებს და სხვ. რაც სინამდვილესთან ახლოა. რასაკვირველია კრება ჰგმობს ყოველგვარ უწესოებას, ძალით ქონების მითვისებას, ტყეების გაკაფვას, მოუწოდებს ყველას დინჯ და გონიერ მუშაობას ახალი წყობილებისათვის ნიადაგის მოსამზადებლათ. კრებაზე ირჩევენ ახალ დროებითი მთავრობას და აღმასრულებელ კომიტეტს, რომელთა ხელში გადადის მართვა-გამგეობის საქმე და შინაური წესიერების თვალ-ყურის გდება. წესიერება სამაგალითოა, თუმცა ადმინისტრაცია ამ რაიონში მოხსნილი და გაუქმებულია. არსდება სახალხო მილიცია, რომლის შედგენა და ხელმძღვანელობა დროებით გორის კომიტეტის გადაწყვეტილებით მიენდო გიგო მელალაშვილს და ნ. კ—ლს. საჭიროა დახმარება ამ საქმეში დაუყოვნებლივ თფილისის კომიტეტის და საბჭოს მხრივ. კონტრ-რევოლუციონური გამოსვლები მკვდარი წყობილების მომხრე პირთა მხრივ გამონაკლისია. ისინი ალაგმულ იქნებიან თანახმათ დროებითი მთავრობის ბრძანებისა, ე. ი. დატყვევებულნი.

გ—ი.

კარდანახი. (სიღ. მაზ.) კვირას, 12 მარტს, შესდგა ყრილობა, რომელიც აღფრთოვანებით შეეგება თავისუფალ რუსეთს და დ ჩაგრული ხალხის ძველი მთავრობიდან განთავისუფლებას. არჩეულ იქმნა დროებითი აღმასრულებელი კომიტეტი. ამავე დღეს კომიტეტის მიერ არჩეულ იქმნა ორი წევრი სამაზრო კომიტეტში მონაწილეობის მისაღებათ.

კომიტეტმა შეადგინა მილიცია წესიერების დასაცავად და ამავე დღეს ყოფილ მამასახლისს ახადა ჯაჭვი და ბეჭედი ჩამოართვა. მართველობა გადავიდა კომიტეტის ხელში.

კომიტეტი არჩეულია ათი კაცისაგან, რომლის უმრავლესი შემადგენლობა სოციალისტთა პარტიებს ეკუთვნის.

სოფლად სრული წესიერებაა. კრებაზე წარმოითქვა სიტყვები, რამაც გამოიწვია უაღრესი აღფრთოვანება.

კარდანახელი.

ს. დიდი ჯიხაიში. კვირას, 12 მარტს დილის 10 საათზე ს. დიდ ჯიხაიშში გაიმართა დიდი სახალხო მიტინგი. მიტინგს დაესწრო ურიცხვი ხალხი, აგრეთვე მოწაფეებიც. უკანასკნელები მიტინგზე მივიდნენ მარსელიოზას სიმღერით და წითელი დროშებით, რომლებზედაც იყო შესაფერი წარწერები. აგრეთვე მიტინგზე მოიტანეს ცხრაას ხუთის დროშა.

ილაპარაკეს ორატორებმა: ი. ქუთათელაძემ, ი. კოპალეიშვილმა, ნ. ლეჟავამ, ნ. ბალავაძემ, დემმა ც. და ვ. დევძეებმა და სხვ., რომლებმაც აუხსნეს ხალხს ძველი მთავრობის დაცემის მიზეზები. კრებამ დაადგინა, რომ გაგზავნილ იქნას მისალოცი დეპეშები პეტროგრადში კარლო ჩხეიძესთან და სხვებთან, რისთვისაც კრების დაშლის დროს შეგროვილ იქნა ფული. ნაშუადღევის სამ საათზე კრება მშვიდობიანათ დაიშალა.

ბიბილო.

ხად. ხანაინი. ამ დღეებში აქ რკინის გზის მოსამსახურეებმა გამართეს მიტინგი. კრება გაიხსნა სტუდ. დათიკო დევდარიანმა, რომელიც ერთ ხმათ იქნა არჩეული თავმჯდომარეთ. ამხ. დევდარიანმა ვრცლათ დაახასიათა დღევანდელი მდგომარეობა.

შემდეგ ილაპარაკეს მუშების დეპუტატებმა. სხვათა შორის ილაპარაკა პრ. ინწკირველმა, რომელმაც მიესალმა კრებას შემდეგი სიტყვებით: თავისუფალო მოქალაქენო, გილოცავთ იმ ბედნიერ აღფრთოვანებას, რომელმაც შექმნა თქვენში ის ჩაუქრობელი ძალა და სიხარული, რომელიც ყველა თქვენგანს სახეზედ ამჩნევია.

შემდეგ მოუწოდა კრებას წესიერებისაკენ და განმარტა, რომ მხოლოდ წესიერების დაცვით გვექნება საშუალება დავმარხოთ ის ძველი დანგრეული მთავრობა მათი მომხრეებით, რომლებიც უსულო სხეულებათ აქცია რუსეთის დიდმა რევოლიუციამ.

აგრეთვე შეეხო რასპუტინის „მოღვაწეობას“ რომანოვების ოჯახში.

ორატორი ხანგრძლივი ტაშით და ურას ძახილით დააჯილდოვეს.

შემდეგ ამხან. დევდარიანმა განუმარტა კრებას აღმასრულებელი კომიტეტების მნიშვნელობა და მათი აუცილებელი საჭიროება. კომიტეტი დაუყოვნებლივ იქნა სისრულეში მოყვანილი. არჩეულ იქნა რვა კაცი, საუკეთესო პირები.

შემდეგ კრება თავმჯდომარემ დახურულათ გამოაცხადა, რომელიც სრული წესიერებით და საამდროვო სიმღერებით დაიშალა.

ახალი კომიტეტი იმ ღამესვე შეიკრიბა და იქონია მსჯელობა. კომიტეტმა შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა. 1) გაგზავნილი იქნას მისალოცი დეპეშა პეტროგრადში მუშათა დეპუტატების სახელზედ, რომელიც იმ წამსვე იქნა სისრულეში მოყვანილი.

2) სრული წესიერება იქნას დაცული. 3) გაიხსნას უფასო სამკითხველო და 4) გაუმჯობესდეს ადგილობრივი კოოპერატივი, რომელიც ჯერ არის სასურველ ნიადაგზედ დაყენებული.

დგაბზუელი

აბაშის რაიონი 14 მარტს დ. აბაშაში მოხდა აბაშის რაიონის 8 საზოგადოების აღმასრულებელ კომიტეტების წევრთა კრება, რომელსაც 50 მეტი უფლებიანი წევრი დაესწრო. კრებამ თავმჯდომარეთ ამხ. არტემ ფანცულაია ამოირჩია, მოადგილედ ამხ. იუსტინე ხოჭოლ. ძე. კრებამ სხვადასხვა დღიურ საკითხების გარჩევის შემდეგ ამოირჩია სარაიონო კომიტეტი, რომელშიც შედის 12 კაცი. ამორჩეულ იქნა აგრეთვე კომისარიატიც—სამი კაცისაგან შემდგარი: ამხ—ბი ალექსანდრე კორძაია, თბილისიდან გამოწვეული, ვასილ ქობულია და ვაჰარი თ. ძველაია. კრებამ ერთხმათ გადასწყვიტა გადაყენებულ იქნას ძველი ადმინისტრაცია მთელი შემადგენლობით, რაც უკვე სისრულეში მოიყვანეს აბაშის რაიონში. ამავე საღამოს სარაიონო კომიტეტის წევრებმა სენაკის სამაზრო კომიტეტში გაგზავნა სამი პირი: ამხ—ბი ვას. ქობულია, იუს. ხოჭოლიძე და აპოსტოლ მიქ ძე. სარაიონო კომიტეტში შედიან ყველა სასურველი პირები,—ყველა წევრები ცნობილნი არიან, როგორც გულწრფელი მოჭირნახულენი.

აბაშის რაიონის სოფლებში ყველგან 13 მარტამდის მოთავდა აღმასრულებელ კომიტეტების არჩევნები, ყველგან სასურველი პირები აირჩიეს, ყველგან აღტაცებით შეხვდნენ ძველი მთავრობის დამხობას და ბნელი საქმეებით ცნობილ ადმინისტრაციის გადაყენებას. განახლების სიოს ყველა გრძნობს, დემონსტრაციებში მონაწილეობას მოხუცები და ქალებიც იღებენ. რამოდენიმე სოფლებში აღმასრულებელ კომიტეტში ქალებიც აირჩიეს, მაგ. ონტოფოში, სამიქაოში და სხ. როგორც დაბაში, ისე სოფლებში მილიცია მოქმედობს. წესრიგი ყველგან საუცხოვოა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორიოდ ქურდბაცაცების გამოსვლებს. აბაშის 14 მარტის კრებამ ერთი საყურადღებო ნაბიჯი გადადგა. აღმასრულებელ კომიტეტების წევრებს დაავალა სოფლებში დიდი დღესასწაულების ხასიათი მიეცათ 15 მარტისათვის, როგორც მუშათა დღისთვის. მართლაც 15 მარტი საერთო დღესასწაული იყო აბაშის რაიონის სოფლებისთვის.

ყველგან გადახდილ იქნა პანაშვიდები, წარმოითქვა სიტყვები. ბევრგან ხალხი ქუჩაში გამოვიდა წითელი დროშებით და მარსელიოზის სიმღერით. ამ გამოსვლებს საუცხოვო ხასიათი ჰქონდა ს. ონტოფოში და სეფიეთში. ამ ორი სოფლის მცხოვრებნი საკანცელარიო საკითხებზე უკმაყოფილონი იყვნენ ერთმანეთით.

მდებარეობით და კულტურულად კი ისე შეკავშირებულნი არიან, რომ მათ შორის ასეთი დამოკიდებულება პირდაპირ დამღუპველია.

ამ ორი სოფლის აღმასრულებელ კომიტეტის წევრებმა, რომ დღესასწაულისათვის ფართო ხასიათი მიეცათ და თან ამხანაგურ-შემარიგებელი, გადასწყვიტეს ერთმანეთს დროშებით შეხვედროდნენ ორივე სოფლის მცხოვრებნი. ონტოფოში მრავალი ხალხის თანდასწრებით გადახდილ იქნა პანაშვიდი, რის შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. ა. ფანცულაიამ და ბ. ხადარეიშვილმა. შემდეგ ონტოფლები წითელი დროშებით, ეკლესიის დროშებით და მღვდლების წინამძღოლობით გაემართნენ სეფიეთისაკენ. ამავე სახით შემოეგებნენ მათ სეფიეთლებიც, ესენი ერთმანეთს ვაშას ძახილით და მარსელიოზით შეხვდნენ. შეერთებულ კრებაზე დროისა და ადგილის შესაფერი სიტყვები წარმოსთქვეს ამხ—ბმა არტ. ფანცულაიამ და ენუქი თოფურიძემ. ა. ფანცულაიამ წაიკითხა აგრეთვე გიორგი ბოკერიას რევოლიუციონური და რევოლიუციის მსხვერპლებისთვის მიძღვნილი საკუთარი ლექსი. აღფრთოვანებული კრება გაიძახოდა: „გაუმარჯოს მებრძოლთ, გაუმარჯოს თავისუფლებას, ძმობას და ერთობას“. გადახდილ იქნა კიდევ მოკლე პანაშვიდი, რის შემდეგ შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა მღ. ნიკ. დავითაიამ. დღესასწაულში ყველგან იღებდენ მონაწილეობას მასწავლებლები და მოსწავლენი. ყველგან გულწრფელად დღესასწავლობდენ ამ დიდებულ დღეს.

ა. ფანცელი.

წერილები რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო! თქვენს გაზეთ „ერთობაში“ № 5 მოთავსებულია წერილი ჩემს წინააღმდეგ ვიღაც „ძმა კაცი“ სწერს: თფილისის სათ. აზ. გიმნაზიის მოსამსახურენი მეტ უმოქმედობას და ნებალობას იჩენენ, თითო-თითოდ ყველა მაგარს ლაპარაკობს, მაგრამ საქმე ვერსად მოუწესრიაგებიათ. ბ. რ—მა ისინი ისე შეაშინა და დაქსაქსა, როგორც მგელმა ცხვრები. ძირითად ჯამაგირს გიმნაზია მხოლოდ 20 მ. იძლევა რაც მეტათ მცირე და უმნიშვნელოა; დეკემბრის მიცემული თხოვნა თებერვალში ძლივს გაშინჯეს და შეიწყნარეს ბატონებმა იმ მოსაზრებით, რომ იანვრის ფული არ მიეცათ და სხვა.

ყველა ეს სიმართლეს მოკლებულია, გიმნაზიის ორმა მსახურმა მომიტანა თხოვნა დამლევ დეკემბერს 27 რიცხვს საღამოს გამგე კომიტეტის სახელზე, მაგრამ მაშინვე აუხსენი იმათ, რომ არ შეიძლებოდა მაშინ მოხსენება, რაზედაც დამეთანხმენ. შემდეგ მოვახსენე კომიტეტს, გაარჩიეს კიდევაც ორჯელ, თებერვალში და მარტში, რომლითაც დააკმაყოფილეს მოსამსახურეები პირველ იანვრიდან თანახმათ მათი თხოვნისა. რაც შეეხება იმათ ჯამაგირს და სხვა სარგებლობას, ასეთია 1) ძირითად ჯამაგირად ეძლევა 20 მ. თვეში, ბინა, შეშა და განათება ელექტრონით და თუ იქ არ ცხოვრობს ბინის ქირა ეძლევა 5 მ. თვეში, 2) ყოველ ხუთ წელიწადში დანსახურების ემატება 25 პროც. ე. ი. ხუთი მანეთი თვეში, 3) სიძვირის გამო მიმატებული აქვთ თვეში 35 მანეთი, 4) სასულიერო სემინარია აძლევს თითეულს თვეში 20 მანეთს, როცა სწავლების დროა, ასე რომ გიმნაზიის დაბალ მოსამსახურეებს ეძლევა ეხლა ფულად თვეში ახალ შემოსულს 55 მანეთი (სემინარიის ფულით 75 მანეთი) და ძველს 65 მანეთი სემინარის ფულიანად 85 მანეთი, 5) როცა მოსამსახურე გავა სამსახურიდან იმას ეძლევა პენსიის მსგავსათ ერთ დროულათ ძირითად ჯამაგირის რაოდენობის მიხედვით, იმდენი თვის ჯამაგირი, რამდენი წელიწადიც ექნება ნამსახური. იყო შემთხვევა ორას მანეთზე მეტი მიიღო წასვლის დროს, რისთვისაც ისინი არაფერს არ იხდიან ამ გვარი ფულის შესაქუჩებლათ, 6) მსახურნი თავისუფალი არიან წელიწადში სხვადასხვა დროს შინ წასვლით სამ თვემდე, 7) ავათყოფობის დროს სამ თვეს უფასო წამლობა და ჯამაგირი ეძლევა, 8) ყველა მოსამსახურების შვილები გაურჩევლათ წოდებისა უფასოდ იზრდებიან გიმნაზიაში. როდესაც მე ამირჩია ჩემდა უთხოვნელად გამგე კომიტეტმა შენობების და მოსამსახურეების ზედამხედველად მაშინ ამ მოსამსახურებს ეძლეოდა მხოლოდ 20 მანეთი თვეში და არა სხვა რაიმე და რაც ზემოთ ჩამოთვლილია ყველა ჩემის შუამდგომლობით მოხდა. თხოვნების შავს მე თვითონ უწერდი და ჩემი შუამდგომლობა იმათ შესახებ ყოველთვის შეიწყნარა პატივცემულმა კომიტეტმა. მკითხველი აქედან დაინახავს მე მგელსავით ვექცევი მოსამსახურებს, თუ მწყემსავით; მართალია ზოგიერთი მოსამსახურე გავაძევე ქურდობისათვის, მაგრამ ეს ჩემის აზრით დაქსაქსვას არ ნიშნავს, პირიქით ეს ნიშნავს გაწმენდას და გასუფთავებას. ასეთია საქმის მდგომარეობა. პირდაპირ საკვირველია, მე იდეური მოსარჩლე მუშათ კლასისა, როგორ შევუწყობდი ხელს ჩემ ხელქვეით მოსამსახურების დაქსაქსვას და დაბეჩავებას და მგლურათ მოვექცეოდი მათ!

რ—ი.

ჩვენი ფოსტა.

პეტროგრადი. „ნ—ას“. ძლიერ დაგვავალებთ თუ მოგვაწოდებთ.

ბახვის წყლის პირელს. უადგილობის გამო არ დაიბეჭდება.

რედ.-გამომცემელი **მღ. მ. ბოხოხაძე.**

[illegible]
შინაგან ავათმყოფობა ქლექისა და გულის.
იღებს ახალ რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში გასინჯვა და წამლობა სხივებით. [illegible] ქლექის წამლობა და ელექტრონით წამლობა: [illegible] ფილტვების ავადმყოფობისთვის, გულისთვის, ართერიოსკლეროზისთვის და აგრეთვე [illegible], სისხლ ნაკლულობის, [illegible], ნევრალგიისთვის. [illegible] ქუჩა № 23. ტელეფონი 1—42.

თუთუნის ქარხანა
ამხ. „კომეტა“-ში
საჭიროა ახალგაზრდა
მუშა-ქალები.
Тифлисъ, Авчальская площадь № 8.
3—1

ექიმი კ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი
ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.
ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი გ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტოქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი ივანე თოგანაძე
დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე, მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

ქ. ქუთაისში.
ექიმი მ. ი. ჩხენკელი
იღებს **ბავშვთა** და **შინაგანი** სნეულებით ავათმყოფს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან —1 საათ. საღამოს 5—8 საათ. თფილისის ქუჩა: გოკიელოვის სახლი.

ქუთაისი
ექიმ გ. ი. გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავათმყოფთათვის, ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და სა 6—8 ღ. საათამდე

მეუღლე ნინო გაბრიელის ასული, მარიამი გრიგოლის ასული, სიძე კონსტანტინე იოსების ძე პატარქალაშვილი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს

გრიგოლი ზაქარიას ძე ოქელაშვილის

უდროოთ გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება ხუთშაბათს, 23 მარტს, დილის 10 საათზე და დაკრძალვა წმინდა ნინოს სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 საათზე თავის სახლში. 2—2

ღრმად დამწუხრებულნი გიორგი გოჯასპირის ძე, ანნა სერგეის ასული, ვანო გიორგის ძე და შალვა გიორგის ძე რამიშვილები ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, პირველნი შვილის დანარჩენნი საყვარელი დის,

მარგალიტა გიორგის ასულის რამიშვილის

უდროვოთ გარდაცვალებას. დაკრძალვა ხუთშაბათს, 23 მარტს ნაშუადღევის 3 საათზე. ცხედარს გამოასვენებენ ელ საბედის ქუჩიდგან № 114 ალექსანდრე ნევსკის ეკლესიაში. იქიდგან წმ ნინოს სასაფლაოზე.

ღრმათ დამწუხრებული მეუღლე კონსტანტინე ჯაბას ძე კაკურია, დედა მარიამი, ძმა ილიკო და ბიძაშვილი იაკობი იაკაშვილები და სიძე ლევან ბასილია აუწყებენ გულდამწუხრებულნი ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

პელაგია (პელო) იაკაშვილი კაკურიასი.

დაკრძალვა მოხდება კვირას 26-ს მარტს პირველ საათზე, წაასვენებენ პეტრე-პავლეს სასაფლაოზე, გამოსვენება მოხდება: ტრეშიენის ქუჩა სახლი იაკაშვილისა (რკინის გზის გადაღმა).

ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლი
სახალხო სახ. არს. ქართ. წარმ. მმარ. წრე.
ხუთშაბათს, 23 მარტს 1917 წ. წარმოდგენილი იქნება:
ექიმი შტოკმანი
ანუ ხალხის მტერი.
დრ. 5 მოქ. გ. იბსენისა, თარგ. პოლუმორდვინოვისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი მ. მატარაძისა, ს. რომანიშვილი-დგებუაძისა, ნ. მჭედლიშვილი. ბ.ბ. გ. ანაშვილი, ნ. გოცირიძე, ა. მჭედლიშვილი, ვ. მამაჯანოვი, თადგირიძე, კაციაშვილი, ს. პეპანოვი, ხიმშელი, სალაყაია და თანამშრომლები.
დასაწყისი საღ. სწორეთ 8 საათზე. ✦ ადგილების ფასი 10 კ.-დან 54 კ-მდე.
ბილეთების კასა ღიაა ყოველდღე დილის 12—2 საათამდე და საღამოს 6—8 ს-დე.
შემდეგი წარმოდგენა 8 აპრილს ✦ ✦ რეჟ. ქ. შათირიშვილი.

განცხადება.

თანახმათ ლანჩხუთის დროებითი აღმას. კომიტ. დადგენილებისა 27 მარტიდგან ამა 1917 წელსა განახლდება მუშაობა ლანჩხუთის სახაზინო ტყეებში. ამისათვის მოუწოდებ ყველას ვინც ჩემთან ჩაწერილი იყო, გამოცხადდენ სამუშაოზე არა უგვიანეს ზემო დანიშნულ რიცხვისა, წინააღმდეგ შემთხვევაში ვინც არ გამოცხადდება იძულებული ვიქნები ვაცნობო სამხედრო საკრებულოს გამოსარიცხავათ.

3—3 **გიორგი ალექსანდრეს ძე საბახტარიშვილი.**

კვირას 26 მარტს, დილის 10 საათზე დანიშნულია ხარფუხის საზოგადო კლუბის

წევრთა კრება.

განსახილველი საგნები: 1) მამასახლისთა საბჭოს მოხსენება კლუბის საქმეების შესახებ, 1916 წ. ანგარიშის და სარევიზიო კომისიის მოხსენების განხილვა, მოხსენებები სხვადასხვა საკითხების შესახებ, მამასახლისების მათი კანდიდატების და სარევიზიო წევრთა არჩევნები. არჩევნები კლუბის წევრთა და კანდიდატებისა.

გამგეობა პროფესიონალური კავშირისა მოსამსახურეების კლუბების, რესტორნების, სასტუმროების და საჩაიო-საყავეებისა აცხადებს, რა წევრთა საყურადღებოთ, რომ პარასკევს 24 მარტს, 1917 წელს დანიშნულია

წლიური საზოგადო კრება

სახალხო სახლის დარბაზში დილით 9 საათზე.

განსახილველია:

1. მოხსენება გამგეობის; 2. განხილვა და დამტკიცება გამგეობის მოქმედებისა და ანგარიშისა; 3. განხილვა და გადამუშავება ძველი წესდებისა; 4. დამატებით არჩევნები გამგეობის წევრისა და 5. მიმდინარე კითხვები.

გამგეობა აუწყებთ ოჯახის და სხვა მომუშავეებს დაესწრონ კრებს.

გამგეობა

თფილისის სამეურნეო ბანკის გამგეობა

აცხადებს, რომ წლიური მორიგი კრება სამეურნეო ბანკის წევრთა, ნაცვლად 10 მარტს დანიშნულის კრებისა, რომელიც არ შესდგა, რადგან კანონიერი რიცხვი წევრთა არ გამოცხადდა, დაინიშნა კვირას, 26 მარტს, დილის 10 საათზე ბანკის ბინაზე (სასახლის ქუჩა, სახლი სარაჯიშვილისა).

განსახილველი საგნები:

1. მოხსენება საბჭოსი წლიურ ანგარიშისათვის, 2. მოხსენება საბჭოსი თვის მოქმედებისათვის, 3. მოხსენება სარევიზიო კომისიისა, 4. ანგარიში 1916 წლისა, 5. მოხსენება წესდების § 4 და § 17—2, 3, 4, და 5 მუხლის შეცვლისათვის და 6. არჩევნები: გამგეობის თავმჯდომარისა ნაცვლად ვ. რ. ყიფიანისა, რომელსაც ვადა გაუვიდა, საბჭოს დეპუტატებისა ნაცვლად ი. ვას. მაჩაბელისა, რომელსაც აგრეთვე ვადა გაუვიდა და გარდაცვალებულ ა. ო. ყიფშიძისა და სარევიზიო კომისიის სამის წევრისა და მათის სამის კანდიდატისა.

3—1